პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 124 (9900) | ხუთშაბათი, 27 მაისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).

**პარტიული ცხოვრება.** — როცა მუშაობა ფორმალურად გარდაქმნეს. უდარდელი მდივანი და ჩაშლილი საქმე (მე-2 გვერდი).

**სიმონ წვერავა.** — წარჩინებული მეაბრეშუმე ნინო ბარაბაძე (მე-2 გვერდი).

ჩაის ფოთლის კრეფაში დაწინაურებული (მე-2 გვერდი).

**მიკოლა ბაჟანი.** — მალემსრბოლი (მე-3 გვერდი).

**მატიას რაკოშის** მოხსენება უნგრეთის კომუნისტური პარტიის III ყრილობაზე (მე-3 და მე-4 გვერდი).

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს [illegible] (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## ყური დავუგდოთ მასების ხმას, მხარი დავუჭიროთ ქვემოდან კრიტიკას

ჩვენი საზოგადოების განვითარების კანონს კრიტიკა და თვითკრიტიკა წარმოადგენს. კომუნისტური პარტია, ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი ყოველთვის უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ყოველმხრივ განვითარებას. კომუნისტური პარტია კადრებს, ყველა საბჭოთა ადამიანს ზრდის ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. ამხანაგი გ. მ. მალენკოვი საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XIX ყრილობაზე აღნიშნავდა, რომ კრიტიკა და თვითკრიტიკა პარტიის ნაცადი იარაღია ნაკლოვანებების, შეცდომების, ავადმყოფური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში.

სამართლიანი, ობიექტური კრიტიკა და ქვემოდან კრიტიკა ხელს უწყობს ჩვენი საბჭოთა საზოგადოების ჯანსაღი ორგანიზმის განუხრელად განვითარებას. ქვემოდან კრიტიკა იზრდება და ფართოვდება მხოლოდ მაშინ, როცა ყოველი ჯანსაღი კრიტიკული შენიშვნა მხარდაჭერას პოულობს, როცა გამოვლინებულ ნაკლოვანებებს ნამდვილად ასწორებენ. პარტიისა და მთავრობის ზრუნვით აღფრთოვანებული საბჭოთა ადამიანები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე თავდადებით შრომობენ. ისინი შეუპოვრად, მტკიცედ ახორციელებენ კომუნისტური მშენებლობის დიად პროგრამას, შეურიგებლად გამოდიან ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, რომელნიც ხელს უშლიან ჩვენს წინსვლას. მშრომელთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობა მუშაობის ნაკლოვანებათა და ჩვენი საზოგადოების ცხოვრების უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში მკაფიოდ მოწმობს საბჭოთა წყობილების ნამდვილ დემოკრატიზმს და საბჭოთა ადამიანების მაღალ პოლიტიკურ შეგნებას, მათს ზრუნვას საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციები, რომლებიც ყოველი ღონისძიებით ამაღლებენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის დონეს, თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში ფართოდ იყენებენ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნაცად იარაღს, გულდასმით უგდებენ ყურს მასების ხმას, მათს სამართლიან კრიტიკულ შენიშვნებს და ძვირფას წინადადებებს.

მაგრამ ჯერ კიდევ ვხვდებით მასების მოთხოვნილებებისადმი ფორმალური დამოკიდებულების ფაქტებს. მოქალაქე თ. კიკნაძემ გასულ წელს რედაქციას წერილი გამართა განცხადებით, რომელშიც წერდა სამრეცხაოს ქ. № 21 სახლში ჰიდროიზოლაციის გაკეთების აუცილებლობის შესახებ. განცხადებასთან დაკავშირებით კალინინის რაისაბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველომ რედაქციას შეატყობინა, რომ ამ სამუშაოს მესამე კვარტალში გაითვალისწინებდნენ. მესამე კვარტალი მიწურა. რედაქციამ კვლავ მოაგონა საბინაო სამმართველოს, საიდანაც დამატებით მოგვწერეს, რომ სამუშაოს მეოთხე კვარტალში შეასრულებდნენ. წელიც დასრულდა, 1954 წლის პირველი კვარტალიც, მაგრამ კიკნაძის სამართლიანი მოთხოვნილება ისევ დაუკმაყოფილებელია. ფორმალიზმი ამაზე მორს ვერ წავა. ეს ფაქტი მოწმობს, რომ კალინინის რაისაბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს მუშაკები მშრომელთა სამართლიან მოთხოვნებს ფორმალურად ეკიდებიან. ნაცვლად გულისხმიერი, საფუძვლიანი დახმარებისა მოქალაქეებს მხოლოდ დაპირებებს და დაუსრულებელ მიწერ-მოწერას სთავაზობენ, რედაქციაში გზავნიან ზერელედ შედგენილ პასუხს და ამით კმაყოფილდებიან.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების გულისხმიერი დამოკიდებულება მშრომელთა წერილებისადმი იმის მაჩვენებელია, თუ როგორ ზრუნავენ ისინი მასებთან კავშირის განმტკიცებისათვის, რამდენად არიან მზად ყური დაუგდონ მშრომელთა ხმას და გამოეხმაურონ მათს მოთხოვნილებებს.

არის შემთხვევები. როცა მშრომელთა წერილების შემოწმების შედეგებს ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკები დიდი დაგვიანებით გზავნიან, ამასთან წერენ სტანდარტულ პასუხს: „მიღებულია საჭირო ზომები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად“, „არ დადასტურდა“, „ნაწილობრივ დადასტურდა“. მოქალაქე ნატროშვილი რედაქციას ატყობინებდა, რომ ვანის რაიონული ცენტრი კეთილმოუწყობელია, ქუჩებში ანტისანიტარული მდგომარეობაა. წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა ვანის რაისაბჭოს აღმასკომს, საიდანაც რედაქციამ მიიღო ზერელე, არაფრისმთქმელი პასუხი: „კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა, მიღებულია ყოველგვარი ზომები (!) მდგომარეობის გამოსასწორებლად“. ეს პასუხი მოწმობს, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი არ ცდილობს ყურადღებით მოეკიდოს კრიტიკული შენიშვნის არსს, საქმიანად გამოეხმაუროს მას. პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები მოვალენი არიან ღრმად ჩასწვდნენ მშრომელთა წერილების შინაარსს, იბრძოლონ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ქვემოდან მიღებული სიგნალების მიხედვით.

მშრომელთა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების განხილვა მუშაობის მნიშვნელოვანი უბანია. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი წერილის, საჩივრისა და განცხადების უკან დგას ცოცხალი ადამიანი, ჩვენი საზოგადოების წევრი.

მშრომელთა წერილებისადმი ფორმალური დამოკიდებულების ფაქტებს ვხვდებით რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროში.

მოქალაქე ნარიმანოვი რედაქციას ა. წ. იანვარში წერდა, რომ მან რამდენჯერმე თხოვნით მიმართა საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს მიეღოთ შოფრად. კვალიფიციური შოფერი ითხოვდა შესაფერის ადგილს. მაგრამ ნარიმანოვს მხოლოდ დაპირებებით ისტუმრებდნენ და მისი სამართლიანი მოთხოვნა არ შესრულეს. რედაქციამ ნარიმანოვის განცხადება ზომების მისაღებად სამინისტროს გადაუგზავნა, სამინისტრომ ტაქსომოტორების კანტორას დაავალა, ხოლო ამ უკანასკნელმა განცხადება მაუდქვეშ ამოდო და ნარიმანოვს შედეგი არ შეატყობინა. მიუხედავად მრავალგზის მოგონებისა, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტრომ რედაქციას დღემდე პასუხი არ აცნობა, ნარიმანოვის მოთხოვნა უშედეგოდ დატოვა.

პარტია მოითხოვს, რომ მშრომელთა წერილები ყოველთვის ხვდებოდეს გულისხმიერ, მზრუნველ დამოკიდებულებას, რომ მათი განხილვით დაინტერესებული იყვნენ უშუალოდ ხელმძღვანელები. პარტიული ორგანიზაციები, პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოვალენი არიან უზრუნველყონ ამ სავალდებულო მოთხოვნის ყველგან დაცვა, ბოლო მოუღონ წერილების, საჩივრებისა და განცხადებებისადმი უსულგულო დამოკიდებულებას. მშრომელთა მოთხოვნებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება ხელს უწყობს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტზე ახალ წარმატებათა მოპოვებას.

კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნაცადი მეთოდის გამოყენებით საჭიროა მივაღწიოთ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. დევნისაგან დავიცვათ ყველა, ვინც აქტიურად გამოდის საღი კრიტიკით, მივაღწიოთ იმას, რომ ის, ვინც სამართლიან კრიტიკას ეწევა, გრძნობდეს კოლექტივის ორგანიზებულ მხარდაჭერას.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა აღზარდონ ჩვენი კადრები, ყველა საბჭოთა ადამიანი სახელმწიფოს ინტერესების მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით, ყოველივე ჩამორჩენისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, გულისხმიერად დაუგდონ ყური მასების ხმას, პარტიის რიგითი წევრების ხმას, ეგრეთწოდებული „პატარა ადამიანების“ ხმას, ხალხის ხმას. კრიტიკულ შენიშვნებსა და სიგნალებზე გულისხმიერი, დროული გამოხმაურება ხელს შეუწყობს მასების შემოქმედებითი აქტივობის შემდგომ ზრდას სახელმწიფოებრივ და სამეურნეო საქმიანობაში, ჩვენს წინსვლას კომუნისტური მშენებლობის გზით.

## ჩინეთში გამოვიდა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეცხრე ტომი

პეკინი. (საკდესი). ჩინეთში გამოვიდა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეცხრე ტომი ჩინურ ენაზე.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის გახსნისათვის

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია გაიხსნება დღეს, 27 მაისს, დღის 2 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პრ. № 8).**

# ჩვენს დიად სამშობლოში

## მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს საზეიმო სხდომა, მიძღვნილი რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი

**25 მაისს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს საზეიმო სხდომა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, რომელიც მიეძღვნა რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს.**

**სსრ კავშირის სახელმწიფო გერბზე ბრწყინავენ ოქროს ნაპერწკლები და ციფრი „300“. სცენის ზემოთ არის რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის სსრ ალმები. კედლების გაყოლებით — ალმები სხვა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებისა, რომლებიც კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით მიდიან კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.**

**საზეიმო სხდომა გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტის მდივანმა დეპუტატმა ი. ვ. კაპიტონოვმა. იგი რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს აბხ. მ. ა. იასნოვს.**

**მომხსენებელი ლაპარაკობს, რომ კომუნისტური მშენებლობის პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომელიც პარტიამ დასახა, მტკიცდება ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელებისა და საბჭოთა უკრაინის ქალაქებისა და სოფლების მშრომელთა ძმური ურთიერთდახმარება და შემოქმედებითი თანამშრომლობა. ამ ურთიერთობის განვითარებას თვალნათლივ მოწმობს სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკთა შორის მოწინავე გამოცდილების ყოველმხრივი ურთიერთგაცვლა.**

**მოსკოვის ასობით საწარმო ეჯიბრება უკრაინის სსრ საწარმოთა კოლექტივებს. რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს ქარხნების „კრასნი პროლეტარის“, „სერპი მოლოტის“, კაგანოვიჩის სახელობის საკისრის 1-ლი სახელმწიფო ქარხნის კოლექტივებმა, მოსკოვ-კურსკ-დონბასის რკინიგზის მოსკოვის განყოფილების მუშაკებმა და სხვ.**

**წარმატებით მიმდინარეობს სოციალისტური შეჯიბრება კოლომნისა და ვოროშილოვგრადის ორთქლმავალმშენებელი ქარხნების, „ელექტროსტალისა“ და „დნეპროსპეცსტალის“ კოლექტივებს შორის, მოსკოვისა და კიევის მეფეხსაცმელეებსა და ფეიქრებს შორის.**

**ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ხალხი, ამბობს ამხ. მ. ა. იასნოვი, უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნავს მოძმე უკრაინელი ხალხის შესანიშნავ წარმატებებს საბჭოთა სოციალისტური უკრაინის შემდგომი მძლავრი აღმავლობისა და აყვავებისათვის ბრძოლაში.**

**შეკრებილნი მჭუხარე ტაშით ხვდებიან მომხსენებლის სიტყვებს, როცა იგი გამარჯვებას უსურვებს უკრაინელი და რუსი ხალხების და ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის ურღვევ მეგობრობას, დიდ სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — მთელი მსოფლიოს მშვიდობის მძლავრ ბურჯს!**

**სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ა. ნ. ნესმეიანოვს. იგი ლაპარაკობს საბჭოთა უკრაინის მეცნიერებისა და კულტურის აყვავებაზე, რუს და უკრაინელ მეცნიერთა მუდმივ და მჟიდრო კავშირზე. ახლა უკრაინაშია ხუთასამდე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, უკრაინის მეცნიერთა რიცხვი ათჯერ აღემატება ყოფილი მეფის რუსეთის მეცნიერთა რიცხვს. რესპუბლიკაშია ასობით თეატრი, კლუბი, ბიბლიოთეკა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, გამოდის ათასზე მეტი გაზეთი.**

**იგი ლაპარაკობს, თუ რა მიღწევები აქვთ თანამედროვე უკრაინელ მეცნიერებს, რომლებმაც ძვირფასი წვლილი შეიტანეს მსოფლიო მეცნიერებაში. უკრაინელი მეცნიერები დიდმნიშვნელოვან გამოკვლევებს აწარმოებენ ცოდნის ყველა დარგში, და ამ გამოკვლევათა შედეგები უერთდება მოწინავე საბჭოთა მეცნიერებს.**

**ტრიბუნაზეა ორჯონიკიძის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ხარატი სტალინური პრემიის ლაურეატი ნ. ჩიკირიოვი. იგი ამბობს, რომ ქარხნის კოლექტივი ოთხი თვის საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებით შეხვდა დიდ შესანიშნავ თარიღს — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს. საწარმოს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა, რომლებიც ეჯიბრებიან ოდესის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივს, ვალდებულება იკისრეს 25 ნოემბრისათვის შეასრულონ 1954 წლის სახელმწიფო გეგმა.**

**მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ა. კურგანოვამ.**

**— ჩვენი მძლავრი სამშობლოს ყველა ხალხი, — თქვა მან, — ამ დიდსშესანიშნავ თარიღს აღნიშნავს როგორც უძვირფასეს, საყვარელ დღესასწაულს. სწორედ ხალხთა ასეთ დიდ, ახალ ოჯახზე, სადაც ყველა ეროვნების ადამიანები თავისუფლად და ერთსულოვნად იცხოვრებდნენ ძმებივით, ოცნებობდა თავის უკვდავ „ანდერძში“ ტარას შევჩენკო. სწორედ ასეთ ბედნიერ დროზე ოცნებობდნენ დიდი რევოლუციონერი დემოკრატები, რუსეთის საუკეთესო შვილები — ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი.**

**ჩვენ, საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდები, ბედნიერი ვართ და ვამაყობთ იმით, რომ სოციალისტურ ეპოქაში ვცხოვრობთ. დიდა-სამშობლომ უხვად მოგვანიჭა მთელი თავისი სიმდიდრე, ფართოდ გაგვიღო მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების საგანძურის კარი, შექმნა მოზარდი თაობის ყოველმხრივი სულიერი და ფიზიკური განვითარების საჭირო პირობები.**

**შეკრებილნი მხურვალედ შეხვდნენ მწერალ ლ. ლეონოვს.**

**— ჩვენს ქვეყანაშიც კი მისი ათასი წლის არსებობის მანძილზე ბევრი როდია ასეთი დღესასწაული. ეს დიადი დღესასწაული არის სიხარული, რასაც გვანიჭებს ორი მოძმე სლავი ხალხის — უკრაინელი და რუსი ხალხების დადასტურებული დიადი მეგობრობის ისტორიის, სულიერი სიახლოვის, სისხლით ნათესაობის შეკნობა.**

**კრების მონაწილენი ერთსულოვანი ტაშით ეგებებიან სიტყვებს, რომ არ მოიპოვება ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს გათიშოს რუსი და უკრაინელი ხალხების ძმური კავშირი, რომელთა მეგობრობა მაღალი მაგალითია საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისათვის. და თითქოს ყველა მოსკოველის სახელით მიმართავსო, მწერალი ამბობს: და კიდევ მიიღე ჩვენი გულითადი სალამი და სიყვარული, ჩვენო ძმაო უკრაინავ.**

**დასასრულ გაიმართა დიდი სადღესასწაულო კონცერტი. (საკდესი).**

## ლვოვის თეატრის გასტროლების პირველი დღე

**გუშინ რუსთაველის სახელობის თეატრში უკრაინის სსრ ქალაქ ლვოვის მ. ზანკოვეცკაიას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენსანი სახელმწიფო უკრაინული დრამატული თეატრის კოლექტივმა თბილისელ მაყურებელს უჩვენა თავისი პირველი სპექტაკლი — ი. ტიაგნოს 4-მოქმედებიანი ჰეროიკული დრამა — „ტარას ბულბა“ გოგოლის ნაწარმოების მიხედვით.**

**სპექტაკლის დაწყების წინ დამსწრე საზოგადოებას მიესალმა ლვოვის თეატრის დირექტორი ზ. სმოკტი.**

**საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახელით სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე შ. დადიანი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე.**

**საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა დ. კაზაჩკოვსკიმ. მან მადლობა გადაუხადა თბილისის მშრომელებს გულთბილი შეხვედრისათვის.**

**სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟისორს, უკრაინის სსრ სახალხო არტისტს ბ. ტიაგნოს, მხატვრობა — ი. სტეფანჩუკს, მუსიკა — უკრაინის სსრ დამსახურებულ არტისტებს ა. რადჩენკოს და პ. პოლიაკოვს.**

**როლებს ასრულებდნენ უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. იარემენკო (ტარას ბულბა), უკრაინის სსრ სახალხო არტისტი ფ. გაიკო (ტარასის მეუღლე), უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტები ა. დავიდენკო (ოსტაპი) და ა. გაი (ანდრეი), უკრაინის სსრ სახალხო არტისტები, სტალინური პრემიის ლაურეატები ვ. ლიუბარტი და დ. დუდარევი, მსახიობები ა. ბოსენკო, ვ. მაქსიმენკო, ნ. ბელოვოდსკი, ი. ლისენკო, მ. მენტო, ა. ტიმოშენკო, ს. ბედრო და სხვ.**

**სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა.**

## გაიხსნა პულკოვოს ობსერვატორია

ლენინგრადი. 21 მაისს პულკოვოს მაღლობის დიდ მოედანზე, სადაც აგებულია განახლებული ობსერვატორიის შენობები და პავილიონები, ჩამოვიდნენ საბჭოთა და უცხოელი ასტრონომები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

12 საათზე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ი. პ. ბარდინმა პულკოვოს მთავარი ასტრონომიული ობსერვატორია გახსნილად გამოაცხადა. მან გაჭრა წითელი ლენტი, რომელსაც მთავარი შენობის საპარადო შესასვლელში შეჰყავს სტუმრები. სტუმრები შეიკრიბნენ ობსერვატორიის კონფერენც-დარბაზში. აქ გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც ასტრონომიის მეცნიერების დიდ დღესასწაულად იქცა.

კრების მონაწილეებმა ფეხზე ადგომით სცეს პატივი საბჭოთა არმიის მეომართა ხსოვნას, რომლებიც გმირულად დაიღუპნენ პულკოვოს მაღლობისათვის ბრძოლებში დიდი სამამულო ომის დღეებში.

კრებაზე წაიკითხეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ა. ნ. ნესმეიანოვისა და საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ოტო სტრუვეს მისასალმებელი დეპეშები. შემდეგ ტრიბუნაზე ადიან საბჭოთა და უცხოეთის ასტრონომიულ დაწესებულებათა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

გამოდიან მრავალი საბჭოთა ობსერვატორიის, უკრაინის, საქართველოს, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიების წარმომადგენლები, რიგის, ტარტუს, ყაზანის, ტაშკენტისა და სსრ კავშირის სხვა ქალაქების მეცნიერები.

ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის დელეგაციის წევრებმა საზეიმო ვითარებაში გადასცეს პულკოვოს ობსერვატორიის ხელმძღვანელებს წითელი დროშა. დროშას ჩინურ ენაზე აწერია: „მსოფლიოს ასტრონომიული დედაქალაქს — მოწინავე მეცნიერების მწვერვალს“.

საბჭოთა ასტრონომებისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მეცნიერთა სულ უფრო მზარდ შემოქმედებით თანამშრომლობაზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელმა პროფესორმა ე. რიბკამ, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელმა პროფესორმა ე. ბუხარამ, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა დ. ხაიშმა და სხვებმა.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს გრინვიჩის ასტრონომიული ობსერვატორიის წარმომადგენელმა პროფესორმა დ. სედლერმა, პარიზის ობსერვატორიის დირექტორმა ა. დანჟონმა, იელის ობსერვატორიის დირექტორმა პროფესორმა დ. ბრაუერმა, სტოკჰოლმის, მექსიკის, ჰოლანდიის, ოტავის, ბელგიისა და უცხოეთის სხვა ასტრონომიული ობსერვატორიების წარმომადგენლებმა.

პულკოვოს ობსერვატორიის დირექტორმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა ა. ა. მიხაილოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა კრებაზე გამოსულ ყველა საბჭოთა და უცხოელ სტუმარს.

(საკდესი).

## სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

### ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიულ კომბინატ „ნოვა-გუტას“ მშენებლობა

ვარშავა, 24 მაისი. (საკდესი). პოლონეთის მეტალურგიის გიგანტის, ვ. ი. ლენინის სახელობის კომბინატ „ნოვა-გუტას“ მშენებლობაზე გაჩაღებულია დაძაბული შრომა. კომბინატის მთელი რიგი ობიექტები, მათ შორის მექანიკური და ენერგეტიკული სახელოსნოები, დამხმარე სამსხმელო საამქროები, ფოლადის კონსტრუქციების სახელოსნო, ცეცხლგამძლე მასალათა ქარხანა, საწყობები და სხვა უკვე ჩადგა მწყობრში. სწრაფად მიიწევს წინ ძირითადი ობიექტების — ბრძმედების, კოქსქიმიური ბატარეების, საგლინავიანი ფოლადსამსხმელო, საგლინავი და მრავალი სხვა საწარმოო საამქროს მშენებლობა.

დამთავრდა მშენებლობის პირველი რიგი. დაიწყო ბრძმედის, თბოელექტროსადგურის, კოქსქიმიური ბატარეებისა და სხვა დიდმნიშვნელოვანი ობიექტების მანქანებისა და მოწყობილობის საცდელი შემოწმება. კომბინატის პირველი რიგი უახლოეს ხანში ამუშავდება.

### 1 ივნისი გავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

პეკინი, 25 მაისი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ბავშვები გარემოსილი არიან უდიდესი ზრუნვითა და ყურადღებით.

სრულიად ჩინეთის ქალთა დემოკრატიული ფედერაციის საბავშვო განყოფილების გამგის მოადგილემ ლი ლი-ლიანმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

ჩინეთის სახალხო მთავრობისა და კომუნისტური პარტიის მთელი საქმიანობის მიზანია მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება და ეროვნული კულტურის განვითარება. სახალხო ხელისუფლების დროს ბავშვებს შექმნილი აქვთ პირობები სასიხარულო ბავშვობისათვის. გასულ წელს საბავშვო ბაგებისა და ბაღების რაოდენობა ჩინეთის საწარმოებში, სახელმწიფო დაწესებულებებსა და სასწავლებლებში 36 პროცენტით გადიდდა 1952 წელთან შედარებით, განთავისუფლების წინა პერიოდთან შედარებით კი სბავშვო დაწესებულებების რიცხვი გადიდა 30-ჯერ და უფრო მეტად. მრავალი სბავშვო ბაგა და ბაღი გიიხსნა უკანასკნელი წლების განმავლობაში სასოფლო რაიონებში.

ბავშვებისათვის ჩინეთში გამოდის მრავალი სბავშვო გაზეთი და ჟურნალი. სახალხო რადიოსადგურები ყოველდღე გადასცემენ სბავშვო პროგრამებს. სბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა ბავშვებისათვის უშვებს მრავალ წიგნს.

სახალხო ჩინეთში ბავშვებისათვის გახსნილია პიონერთა სასახლეები და სახლები, ბიბლიოთეკები, სამკითხველოები, ნორჩ ტექნიკოსთა და ნორჩ ნატურალისტთა სადგურები, თეატრები.

ჩვენი ბავშვების ბედნიერება, თქვა დასასრულ ლი ლი-ლიანმა, განუყოფელია მშვიდობისათვის ბრძოლისაგან, ახალი ცხოვრების შენებლობაში წარმატებებისაგან. ჩინელი ხალხი ბავშვთა დაცვის მომავალ საერთაშორისო დღეს აღნიშნავს ლოზუნგით „ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის, სოციალიზმისათვის, ბავშვთა ბედნიერი ცხოვრებისათვის“.

სოფია, 25 მაისი. (საკდესი). ბულგარეთში სახალხო ხელისუფლების დამყარებამდე მხოლოდ რამდენიმე სბავშვო ბაგა და ბაღი იყო, რომლებიც არსებობდნენ საქველმოქმედო სახსრებით. მუშებსა და გლეხებს არ შეეძლოთ თავიანთი ბავშვებისათვის აღმოეჩინათ ჯეროვანი სამედიცინო დახმარება. მშრომელთა ბავშვების სიკვდილიანობა მეტად დიდი იყო.

ბულგარეთის განთავისუფლების შემდეგ ბავშვთა ჯანმრთელობისათვის ზრუნვა სახალხო სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა გახდა. ამჟამად ბულგარეთში დაახლოებით 550 სბავშვო ბაგა და 6.145 სბავშვო ბაღია. გახსნილია დედათა და ბავშვთა 13 სახლი. აშენებულია 10 ტუბერკულოზის საწინააღმდეგო სბავშვო საავადყოფო და სანატორიუმი, 3 სპეციალური სბავშვო საავადყოფო. ყველა ქალაქში პოლიკლინიკებთან შექმნილია სბავშვო განყოფილებები. ბავშვთა კონსულტაციები ახორციელებენ მეთვალყურეობას ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე.

მეორე ხუთწლიანი გეგმით 1957 წლისათვის სბავშვო ბაგების რაოდენობა ბულგარეთში ერთიორად გადიდდება, ხოლო სბავშვო ბაღების რაოდენობა — დაახლოებით 45 პროცენტით.

### კორეელი ხალხის წარმატებანი თავისი ქვეყნის აღდგენაში

ფხენიანი, 25 მაისი. (საკდესი). დღითი-დღე ფართოვდება აღდგენითი სამუშაოები კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში. საბჭოთა კავშირის, ჩინეთისა და სახალხო-დემოკრატიის ქვეყნების სპეციალისტთა ძმური დახმარებით ჩრდილოეთ კორეის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა მთელი რიგი შრომითი გამარჯვებანი მოიპოვეს მიმდინარე თვეში.

როგორც უკვე იუწყებოდნენ, 9 მაისს საზეიმო ვითარებაში ამუშავდა საშენი მასალების დიდმნიშვნელოვანი საწარმო — ქალაქ ნამუხოს მინის ქარხანა. ახლა ქარხანა დღეღამეში უშვებს 4-4,5 ათას კვადრატულ მეტრ მინას. წლის დამლევისათვის მისი საწარმოო სიმძლავრე გაორკეცდება.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს უკანასკნელ ხანს კორეის მეტალურგებმა. როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, 17 მაისს ამუშავდა აღდგენილი ბრძმედი მუნუხენის ფერადი ლითონების ქარხანაში. დამთავრდა ანგრეთვე ელექტროსადნობი ღუმელის აღდგენა ამ საწარმოში.

კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტოს ცნობით, 22 მაისს საექსპლატაციოდ გადაეცა დიდი საფეიქრო ფაბრიკა ქალაქ კუსონში.

### პარტიული ცხოვრება

# როცა მუშაობა ფორმალურად გარდაქმნეს

სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ღონისძიებების წარმატებით განხორციელების უმნიშვნელოვანეს პირობას სოფლად პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ყოველმხრივ გაუმჯობესება წარმოადგენს. ამ მიზნით განხორციელდა პარტიის რაიონული კომიტეტების გარდაქმნა. საკოლმეურნეო წარმოებასთან ხელმძღვანელობის მიახლოების მიზნით რაიკომებში მტს-ების ზონების მიხედვით შეიქმნა ინსტრუქტორთა ჯგუფები რაიკომის მდივნების მეთაურობით.

გარეგნულად ამ მხრივ პარტიის სამხრეთის რაიკომს ვერ ვუსაყვედურებთ. რაიონში მოქმედი მტს-ის ზონის მიხედვით რაიკომმა შექმნა ინსტრუქტორთა ჯგუფი. ამ ჯგუფის შემადგენლობაში შერჩეული არიან კვალიფიციური ამხანაგები, რომლებმაც იციან სოფლის მეურნეობა და უყვართ პარტიული მუშაობა. რაიკომის მდივნად მტს-ის ზონის მიხედვით მუშაობს რაიკომის ყოფილი მეორე მდივანი ამხ. გ. ქართველიშვილი. იგი სპეციალობით აგრონომია, ამასთან მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვს. ინსტრუქტორებად დამტკიცებული არიან ამხ. ს. დუნდუა, შ. კვინიკაძე, კ. ზამთარაძე, ა. წიქვაძე და სხვები, რომლებიც წინათ რაიკომის ინსტრუქტორები იყვნენ და პარტიული მუშაობის გარკვეული გამოცდილება აქვთ.

მტს-ის ზონის მიხედვით ინსტრუქტორთა ჯგუფის შექმნის შემდეგ საკმაო დრომ განვლო. მოსალოდნელი იყო, რომ მტს-ისა და კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა გაძლიერდებოდა, ამაღლდებოდა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა და ორგანიზატორული მუშაობა სოფლად. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. პარტიის რაიკომი კვლავ ძველებურად განაგრძობს მუშაობას. ნაცვლად იმისა, რომ მთელ თავის საქმიანობას სოფლად რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფის მეშვეობით წარმართავდეს, ამასთან ყველა უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებზე დაყრდნობით და მათი საშუალებით ახორციელებდეს, რაიკომი კვლავ მიმართავს სოფლად ხანგრძლივი დროით რაიონის ცენტრიდან რწმუნებულების მივლინების, პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მიერ დაგმობილ პრაქტიკას. ამ რწმუნებულებმა ხშირად არ იციან სოფლის მეურნეობა, რაც ამცირებს მეურნეობის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის.

რაიკომი სოფლად რწმუნებულების სახით სხვადასხვა საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელი მუშაკების გაგზავნით როდი კმაყოფილდება. რწმუნებულებად გამოყენებული არიან ზონის ინსტრუქტორებიც. მაგალითად, ზონის ინსტრუქტორი ა. წიქვაძე თვენახევარია სოფელ იანეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში არის რაიკომის რწმუნებულად, შ. კვინიკაძე — სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“, კ. ზამთარაძე — სოფელ ჭაგნის კოლმეურნეობაში. ასევე ითქმის სხვა ინსტრუქტორთა შესახებაც. მაშინ როცა ზონის ინსტრუქტორი 4-5 კოლმეურნეობას უნდა მოემსახუროს, მას აიძულებენ მხოლოდ ერთ კოლმეურნეობაში ამუშაოს.

უფრო მეტიც. რაიკომის მდივანი ამხ. გ. ქართველიშვილი ერთ ზონაზე არის „მიმაგრებული“, რომელშიც მხოლოდ 3 კოლმეურნეობა შედის. როგორც ჩანს, პარტიის სამხრეთის რაიკომის მუშაკებს დაავიწყდათ, რომ რაიკომის მდივანი მტს-ის ზონის მიხედვით პასუხს აგებს ყველა 28 კოლმეურნეობის მუშაობისათვის, რომლებსაც მტს-ი უწევს მომსახურებას.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა დააწესა, რომ ზონის ინსტრუქტორები მთელ თავიანთ სამუშაო დროს კოლმეურნეობაში, სოფლად უნდა ატარებდნენ. ამ სახელმძღვანელო მითითებას აქ უგულებელყოფენ. ზონის ინსტრუქტორები შ. კვინიკაძე, კ. ზამთარაძე და გ. თვალავაძე აქამდე რაიონის ცენტრში ცხოვრობენ.

პარტიული აპარატის მუშაობის ფორმალურ გარდაქმნას შედეგად მოჰყვა ის, რომ მტს-ის ზონის მიხედვით რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფის ორგანიზატორული როლი მტს-ისა და კოლმეურნეობათა საქმიანობაში არა ჩანს. ბევრ კოლმეურნეობაში დაბალ დონეზე დგას შრომის დისციპლინა. ყოველივე ამის შედეგად რაიონში მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები შეუწყნარებლად ჩამორჩა. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვის საქმეში.

პარტია სისტემატურ მზრუნველობას იჩენს რაიონული პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ყოველმხრივ გაუმჯობესებისათვის. ახლანდელ პირობებში კიდევ უფრო გაიზარდა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა. საკმაოა ყოველივე ეს გაითვალისწინოს პარტიის სამხრეთის რაიკომმა (რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ნ. ფანცულაია) და ინსტრუქტორთა ჯგუფის ორგანიზატორული როლის გაძლიერებით, საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებით უზრუნველყოს მშრომელთა დარაზმვა სოფლის მეურნეობის დარგში დასახული ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად.

**ვ. კოკალეიშვილი,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## მედიკამენტების ასორტიმენტის გაფართოება

**თბილისის** ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის კოლექტივმა ამას წინათ მიმართა სსრ კავშირის სამედიცინო მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებს მოწოდებით ჩაებან შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, გააძლიერონ ბრძოლა ახალი მედიკამენტების წარმოების გასაფართოებლად, ასორტიმენტის გასაადიდებლად და პროდუქციის ხარისხის სრულყოფისათვის.

— ჩვენ, — ნათქვამია მიმართვაში, — შევამოწმეთ არსებული შესაძლებლობანი და აღმოჩნდა, რომ შრომის ნაყოფიერების შემდგომი განუხრელი ზრდისათვის ჩვენს საწარმოში რეზერვები მოიპოვება ყოველ საამქროში, ყოველ უბანზე.

ქარხნის კოლექტივს ყველა საშუალება აქვს იმისათვის, რომ არსებული საწარმოო ფართობის გაუდიდებლად და დამატებითი ხარჯის გაუწევლად მნიშვნელოვნად გაადიდოს სამკურნალო პრეპარატების გამოშვება, მოაწყოს ახალი მედიკამენტების წარმოება. ჩავებით რა შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში, ჩვენ გადავწყვიტეთ 1954 წლის გეგმა ვადამდე და გადაჭარბებით შევასრულოთ ყველა მაჩვენებლის მიხედვით, გავაფართოოთ მედიკამენტების ასორტიმენტი და მოვაწყოთ ახალი პრეპარატების გამოშვება.

აპრილში ქარხნის კოლექტივმა ახალი წარმატებები მოიპოვა შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის ბრძოლაში და პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 123,8 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ პირველ კვარტალში ქარხნის თვითეული მუშის საშუალო გამომუშავება და შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად გადიდდა.

## სამეცნიერო სესია კოლმეურნეობაში

**დუშეთი.** (საკ. კორ.). მჭადიჯვრის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიურმა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა მოაწყო გამსვლელი სესია.

მოხსენება თემაზე „დუშეთის რაიონის სამხრეთი ნაწილის ბუნებრივი შესაძლებლობანი და მათი გამოყენების პერსპექტივები“ წაიკითხა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა მუშაკმა დოცენტმა გ. ჭირაქაძემ. ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა კ. პაპინაშვილმა მოხსენება გააკეთა ამინდისა და მისი წინასწარმეტყველების შესახებ.

მოხსენებით „ვაზის ჭრაქის წინააღმდეგ ბრძოლის ვადები დუშეთის რაიონში“ გამოვიდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი შ. ცერცვაძე. „მოყინვის წინასწარმეტყველებისა და მასთან ბრძოლის შესახებ“ ილაპარაკა უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ა. ქვირიამ.

სესიაზე, რომელსაც მრავალი კოლმეურნე დაესწრო, სიტყვები წარმოთქვეს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ძლიერიშვილმა და ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის დირექტორმა გ. ლომინაძემ.

## ავტომანქანები კოლმეურნეობებს

**გორი.** (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში ყოველწლიურად იზრდება ავტომანქანების პარკი. მარტო სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ აქვს 12 სატვირთო და 2 მსუბუქი ავტომანქანა, მათ შორის ერთი „ზიმი“.

მანქანები „ზიმი“ აქვთ აგრეთვე სოფელ მეჯვრისხევის სტალინის სახელობის და ხიდისთავის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობებს. ამას წინათ ავტომანქანები შეიძინეს სოფელ ბერბუკის, სკრის, ძევერის, თორტიზისა და სხვა კოლმეურნეობებმა.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გორის სამომხმარებლო კოოპერაციამ რაიონის კოლმეურნეობებს მიჰყიდა 28 სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანა.

## ჩაის ფოთლის კრეფაში დაწინაურებულ ბიბლიოთეკა

**ჩაის ხავერდოვან პლანტაციებზე** ღამით დაფრქვეულ ცვარს მზის სხივები ვერცხლისფრად აბრჭყვიალებდა. პლანტაციის ერთ ნაკვეთში შევედით. ფართოფარფლებიანი ჭილობის ქუდიანი მკრეფავი, გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეთერთმეტე ბრიგადის წევრი სოციალისტური შრომის გმირი ნათელა ბულისკერია ბუჩქებზე დახრილიყო. მას თოკით წელზე კალათა მიემაგრებინა და ფოთოლს ორივე ხელით ისე სწრაფად კრეფდა, რომ მნახველი გაოცებაში მოჰყავდა.

ყურადღება მიიპყრო კარგად მოვლილმა პლანტაციამ. მწკრივებს შორის მიწა გაფხვიერებულია, სასუქი შეტანილია, ბუჩქები ლამაზად გასხლულია, წყალსაწრეტი არხები ამოწმენდილია. პლანტაციას ეტყობა მზრუნველი ხელი. ნათელა ბულისკერიას სახით ჩაის მცენარეს უანგარო მოამაგე ჰყავს. მას კარგად იცნობს ჩვენი რესპუბლიკის ყველა მეჩაიე.

ამხ. ბულისკერიას ყოველწლიურად ჩაის უხვი მოსავალი მოჰყავს. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ფოთლის მოსავლიანობა ჰექტარზე 14 ათას კილოგრამამდე აიყვანა. შარშან მან ისე მოაწყო შრომა, რომ ჰექტარზე უზრუნველყო 14.800 კილოგრამი ფოთლის მიღება.

წელს საკოლმეურნეო შრომის ნოვატორი უფრო თავდადებით მუშაობს. პლანტაციაში ყველა სახის სამუშაოებს აგროვადებში აწარმოებს. საგულდაგულოდ უვლის თვითეულ ბუჩქს. კოლმეურნეობაში ყველაზე ადრე ნათელამ დაიწყო ჩაის კრეფა. მისთვის მოსავლელად მიჩენილ ჰექტარ ფართობზე მაისში გეგმით უნდა მოეკრიფა 1.000 კილოგრამი ჩაის ნედლეული. ეს დავალება ვადაზე 10 დღით ადრე განაღდა. ახლა იგი მაისის გეგმის გადამეტებით ყოველდღიურად 70-80 კილოგრამ ფოთოლს კრეფს.

საინტერესოა ნათელა ბულისკერიას ერთი დღის მაჩვენებელი. გარიჟრაჟიდან იგი ჩაის ხავერდოვან პლანტაციაში იყო. მთელი დღის დაუღალავი მუშაობის შედეგად მოკრიფა 136 კილოგრამი პირველი ხარისხის ფოთოლი ნაცვლად 25 კილოგრამისა. ამ დღეს მან 8 შრომადღე გამომუშავა.

წარჩინებული კოლმეურნე იბრძვის იმისათვის, რომ მოსავლელად მიჩენილ ჰექტარ ფართობზე წელს მიიღოს 16 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

**შ. ჭოჭუა,**
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

სურათზე: ნათელა ბულისკერია ჩაის კრეფის დროს.

## უდარდელი მდივანი და ჩაშლილი საქმე

— მეცხვარეები ზამთარში ბარში მიდიან, ზაფხულში — მთაში და ჩვენგან დიდი მანძილით არიან დაშორებულნი, ამიტომ გვიძნელდება ფერმის პარტიული ჯგუფისადმი ხელმძღვანელობის გაწევა, — გულდამშვიდებით განაცხადა სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ბ. ჯალიაშვილმა.

მართლაც, ამ კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში მომუშავე კომუნისტები მოკლებული არიან პარტბიუროს ხელმძღვანელობას. საუბარში პარტბიუროს მდივანმა ისიც ძლივს გაიხსენა, თუ როდის შეიქმნა ფერმაში პარტიული ჯგუფი და ვინ არის მისი ორგანიზატორი. ბოლოს როგორც იქნა გაიხსენა, რომ სამი წლის წინათ პარტიული ჯგუფის ორგანიზატორად დავით ჯალიაშვილი ითვლებოდა.

— მერე და რა გააკეთა მან ამ ხნის განმავლობაში?

პარტბიუროს მდივანი დუმს, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უძნელდება. შემდეგ ვგებულობთ, რომ ფერმაში პარტიული ჯგუფი დაშლილა, იგი ფორმალურადაც აღარ არსებობს.

ამის შემდეგ განა გასაკვირველია, რომ მეცხვარეობის ფერმაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ჩაშლილია. 63 მწყემსთან სააგიტაციო მუშაობისათვის გამოყოფილია მხოლოდ ერთი აგიტატორი, ისიც ქაღალდზე. ფაქტიურად სააგიტაციო მუშაობა აქ სავსებით მიტოვებულია. ყოველივე ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა ფერმის სამეურნეო მდგომარეობაზე. აქ არ შესრულებულა ნამატის მიღების გეგმა, დავალიანებით დაიწყეს ცხვრის საზაფხულო იალაღებზე გადარეკვისათვის მზადება, მწყემსების უმრავლესობა უზრუნველყოფილი არ არის სპეცტანსაცმლით, კარვებით, საწვიმრებით.

მეცხვარეობის ფერმაში 9 კომუნისტია, მაგრამ მათი აქტივობა ძალიან დაბალია. მთელი პარტიული მუშაობა ამოიწურება საწევრო ანარიცხების წელიწადში ორჯერ ან სამჯერ აკრეფით.

— ჩემი წასვლა რა საჭიროა მეცხვარეებთან, იქ კოლმეურნეობის თავმჯდომარე სისტემატურად დადის, — უპასუხისმგებლოდ აცხადებს პარტბიუროს მდივანი ბ. ჯალიაშვილი. მას ავიწყდება, რომ მეცხოველეობის განვითარებისათვის ბრძოლა პარტორგანიზაციის, თვითეული კომუნისტის ღვიძლი საქმეა.

აღსანიშნავია, რომ პარტიის სიღნაღის რაიკომში ბ. ჯალიაშვილს კარგ მუშაკად თვლიან, ვერ ამჩნევენ ამ „კარგი მუშაკის“ უდარდელ დამოკიდებულებას მეცხოველეობის განვითარებისადმი. რაიკომის მდივანი ალაზნის მტს-ის ზონის მიხედვით ამხ. ვ. შავლაყაძე ახლოს არ იცნობს ამ კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას, სუსტ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევს მას პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესებაში.

**გ. ხეჩუაშვილი,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## მაისის გეგმის გადამეტებით

**ჩოხატაური.** („კომუნისტის“ კორ.). ზოგან კარგად შეიგნეს, რომ მაისი ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმის შესრულების გადამწყვეტი თვეა, კრეფის დაწყების პირველი დღიდანვე ფოთოლს განუწყვეტლივ კრეფენ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სოფელ განახლების ლენინის სახელობის კოლმეურნეობა. აქ მაისის გეგმის გადამეტებით მოკრიფეს 700 კილოგრამი ჩაის ნედლეული. მაისის დავალება წარმატებით შეასრულეს ხიდისთავის სტალინის სახელობის, საჭამიასერის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობებმა.

სოფელ შუაგანახლების მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა სოციალისტური შრომის გმირმა ე. ჯიბუტმა, რომელმაც უკვე შეასრულა ჩაის კრეფის მაისის დავალება, ერთ დღეს მოკრიფა 100 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად 45 კილოგრამისა. ფოთოლი კრეფის დღიურ ნორმას ერთიორად ანაღდებენ აგრეთვე სოფელ ქვემო ერკეთის კოლმეურნეობის წევრი ნ. შაქარიშვილი და სოფელ გორა-ბერეჟოულის კოლმეურნეობის წევრი ნ. ჯანბერიძე.

მარტო ერთ დღეს, 25 მაისს, განახლებას ჩაის ფაბრიკამ გამოუშვა 55 ტონა ჩაის მზა პროდუქცია ნაცვლად 47 ტონისა.

## სანერგის საბჭოთა მეურნეობაში

**ქარელი.** (საკ. კორ.). ბებნისის სანერგის საბჭოთა მეურნეობამ მიმდინარე წლის გაზაფხულზე, ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონსა და ორგანიზაციას, აგრეთვე მოსახლეობას მისცა 150.000 ძირი თესლოვანი და კურკოვანი ნამყენი ხეხილის ერთწლიანი და ორწლიანი ნერგები.

მეურნეობაში წელს შემოდგომაზე დაფესვიანებული იქნება აგრეთვე შარშან დამყნობილი 120 ათასი ძირი ვაშლის, ამდენივე მსხლის და 20 ათასი ძირი კურკოვანი ხეხილის ნერგი.

### დავნერგოთ მოწინავეთა გამოცდილება

# წარჩინებული მეაბრეშუმე ნინო ბარაბაძე

ნაირფერებით შემკულ თაიგულს მაგონებს სოფელი მათხოჯი. გახედავ მის ირგვლივ თვალშეუდგამ მთებს, და გგონია, რომ თითქოს ვინმეს საგანგებოდ გაუფენია ხალიჩები მთიდან მთაზეო. ეზოებს გადაავლებ თვალს, და კოინდრები, აყვავებული ხეხილი, აფოთლილი ვენახები და შუაში კოხტად წამოჭიმული ოდა-სახლები მიგიზიდავენ. უმზერ ამ სოფლის ერთ-ერთ წარმტაც კუთხეს, ბარაბაძეების უბანს, და გული ხარობს. რარიგ მორთულა იგი თუთის ხეების ხეივნებსა და ვენახებში. მუდამ დაუდეგარი ცხენისწყლის ხმაური აქ მკაფიოდ მოისმის. იგი პირველ რიგში დიდ სიამეს ჰგვრის მთის კალთების ძირას დაფუძნებულ ნინო ბარაბაძის ოჯახს.

გამრჯე დიასახლისის ხელი ეტყობა ამ ეზოსა და გარემოს. მწვანედ შეღებილი რკინის ჭიშკრის მახლობლად ტანაშოლტილი ალვის ხეები ამაყად გადაჰყურებენ სოფელს. მათი გაფოთლილი ტოტების შრიალში სიცოცხლის სიმღერასავით ყოერს ნინო ბარაბაძის გული. ნინო ბავშვობიდანვე გაიტაცა აბრეშუმის ჭიის მოვლის საქმემ, ხოლო მისი მეუღლე გიორგი ჯერ ზეინკლობამ, შემდეგ კი ვაზისადმი სიყვარულმა.

წულუკიძის რაიონი ამაყობს, რომ მას ნინოს სახით მთელ რესპუბლიკაში გამოჩენილი მეაბრეშუმე ჰყავს. როცა ჩვენ ქისტაურელი ქალის ოსანა აივაზაშვილის წარმატებანი გავიგეთ, უმალვე ჩვენი ნინოს საქმეში ჩავიხედეთ და მასში აივაზაშვილივით მოწინავე მეაბრეშუმე ქალი ვიგრძენით. მე არ მინახავს ოსანა, ასე მგონია, ჩვენი ნინო ოსანას და იყოს. ნინო მეაბრეშუმეობის რგოლის ხელმძღვანელია. მისი რგოლი წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატია. ნინოს რგოლმა შარშან 3,1 კოლოფ თესლზე 107 კილოგრამი პარკი მიიღო, ნაცვლად 42 კილოგრამისა, ხოლო პირადად მან ერთ კოლოფ თესლზე ასორმოცდახუთი კილოგრამი. გეგმა ორასორმოცი პროცენტით შეასრულა. მაგრამ ეს როდია ყველაფერი. ნინო თავის საქმიანობას მარტო რგოლში მუშაობით არ ფარგლავს. იგი, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სისტემატურად ეხმარება მეაბრეშუმეებს მაღალი მოსავლის მიღების საქმეში! — ასე დაახასიათა რაიაბრეშუმის გამგემ მოწინავე კოლმეურნე ნინო ბარაბაძე.

— არა მარტო ჩვენს სოფელში, არამედ რაიონში! — დაუმატა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ შალვა მელაძემ.

შალვას უხარია, რომ ნინოსა და მისი ამხანაგების მეთხებით მათხოჯის სასოფლო საბჭო მეაბრეშუმეობის დარგში ერთი პირველთაგანია რაიონში. ნინომ აღზარდა ისეთი მოწინავე მეაბრეშუმეები, როგორიც არიან ლიდა ბარაბაძე, ეულალია უგულავა, რუსიკო ბარაბაძე, ნადია თოფურია, აგრაფინა ბარაბაძე და სხვები. ისინი დიდი გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს, და როგორც ეს ნინოს სჩვევია, პირველი ხარისხის პარკს აბარებენ სახელმწიფოს.

სანამ ნინოს სახლში შევიდოდი, ერთხელ კიდევ შევათვალიერე ეზო-გარემო. საითაც კი გავიხედე, ყველგან მაღალი ჯიშის თუთის რტოს ფოთლები ირხეოდნენ ჩემს თვალწინ. ამ შთაბეჭდილებით ალსავსე შევედი ნინოს დიდ ოდაში. იგი არ ჩანდა. მისი ქალიშვილი თამარი, სიძე ალექსანდრე უგულავა, მათემატიკის მასწავლებლები, ბევრ რაიმეს გვიამბობენ ამ სოფლის ავ-კარგის შესახებ, მაგრამ ჩვენი თვალები კარის ყოველ გაჭრიალებაზე ნინოს გამოჩენას მოელის.

— ნინო სად არის? — ეკითხა ერთმა ჩვენთაგანმა.

— ნინო აბრეშუმის ჭიას აპურებს, — იყო თამარის პასუხი. ამის თქმა და ჩვენი წამოშლა ერთი იყო. თამარმა უკანა ოთახის კარი გაგვიღო, წინ გაგვიძღვა. აბრეშუმის ჭიით სავსე ექვს განიერსა და გრძელ ლასტს შუა იდგა საშუალო ტანის, სანდომიანი სახის, ცოცხალი გამომეტყველების ქალი. იგი მორიდებით წამოვიდა ჩვენკენ. სტუმრების მოულოდნელად გამოჩენამ ცოტა შეაკრთო, მაღლა აეკიცილი წინსაფარი უცებ ქვევით ჩაუშვა, თუთის ფოთოლი მოსუფთავებულ ატაკზე დაცვივდა, ხელი მორცხვად გამოგვიწოდა.

— ბოდიშს ვიხდი, ასე რომ გხვდებით!

ჩვენ კი სწორედ ასეთ მდგომარეობაში გვინდოდა ნინოს ნახვა. სახელოვანმა მეაბრეშუმემ ჯერ ლასტებზე ნიბივრად გაწოლილი აბრეშუმის ჭიები დაგვათვალიერებინა, შემდეგ გულდასმით აგვიხსნა ყოველივე ის, რაც დაკავშირებულია აბრეშუმის ჭიის ნორმალურ განვითარებასთან. ჩვენი ყურადღება სპეციალურად გაკეთებულმა აგურის ღუმელმა მიიპყრო. ნინო მიგვიხვდა გუმანს:

— გამოცდილებით ვიცი, რომ აბრეშუმის ჭია შესაფერის სითბოს ითხოვს, ჩვენც ხასიათს ვუსწორებთ მას. ჩვილ ბავშვს არ სჭირდება ისეთი სათუთი მოვლა, როგორც ჭიას. ბავშვს რომ რაიმე შეაწუხებს, ტირილს მორთავს, ჭიამ ხომ ტირილი არ იცის, მაგრამ ვინც მისი ხასიათი და ზნე შეისწავლა, ის ადვილად მიხვდება — რატომ მოიწყინა ჭიამ, რატომ აუწევია თავი მაღლა, ან რატომ წევს გაუნძრევლად. აბრეშუმის ჭიასაც თავისი სიხარული და მწუხარება აქვს. ის იქნება ყველაზე კარგი მეაბრეშუმე, რომელიც ამას მიუხვდება. მეც მეტი რა საქმე მაქვს თუ ვერ გავიგე, რა მოუხდება და რა აწყენს შვილივით ნალოლიავებ აბრეშუმის ჭიას. ცამეტი წლისა ვიყავი, როცა დედამ აბრეშუმის ჭიის მოვლა შემასწავლა სოფელ გვიშტიბში. ჩვენი ოჯახები, შვანგიანაძეები, განთქმული მეაბრეშუმეები იყვნენ. დედაჩემი მაშინ ახლა ოთხმოცდაშვიდი წლისაა, მაგრამ მეაბრეშუმეობის დრო რომ მოაღწევს, სიხარულისაგან ერთ ადგილას ვერ ჩერდება. გასულ წელს სამოცდახუთი კილოგრამი აბრეშუმის პარკი მიიღო; წელს თერთმეტი გრამი თესლი აქვს გამოსაყვანად. თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც მეაბრეშუმეობას ეწევა.

ნ. ბარაბაძე.

• • •

ნინო პარკის მიღებას ოცდაორ-ოცდაოთხ დღეში აღწევს. პირველ და მეორე ასაკში ჭიას კვებავს დაჭრილი ფოთლით დღეში ათ-თორმეტჯერ, ღამით ოთხ-ხუთჯერ, მესამე ასაკში დღეში რვა-ათჯერ, ღამით — სამ-ოთხჯერ, მეოთხე ასაკში დღეში შვიდ-რვაჯერ, ღამით სამ-ოთხჯერ და მეხუთე ასაკში დღეში ექვს-შვიდჯერ, ხოლო ღამით ორჯერ.

ფოთოლს საღამოს ამზადებს, იატაკზე გაწურულ ტილოს აფენს ზედ ფოთოლს აყრის მსუბუქად, დაუტენავად, რომ არ შეხურდეს, ზემოდანაც ტილოს აფარებს. ჭია უკვე მეხუთე ასაკში შევიდა, ამიტომ ნინო მას დღეს მეორე ოთახში გადაიყვანს. ნინომ მთელი რგოლის ჭია სამ ასაკში თავის სახლში გამოკვება და შემდეგ რგოლის წევრებს დაურიგა. ნინო კარგად დარწმუნდა, რომ რაც უფრო მეჩხრად იქნება განლაგებული აბრეშუმის ჭია ლასტებზე, მით უფრო მეტს იწონის პარკი, ხარისხიც მაღალი აქვს. ამიტომ მას ერთი კოლოფი თესლის ჭია მოთავსებული ჰყავს სამოცდაათ-ოთხმოცე კვადრატულ მეტრზე. დაბალმოსავლიანი თუთა ნინომ მთელ რგოლში მაღალმოსავლიან ჯიშებზე გადაიყვანა მყნობის საშუალებით. თუთის ხის ძირები შემობარული და გაწმენდილია ეკალბარდისაგან. საკახე მასალას: ქვიშიას, გვიმრასა და რცხილის ტოტებს ჩრდილში ახმობს, რომ სინაზე ჰქონდეს და ჭიამ კარგად აახვიოს პარკი.

ნინო დიდი წუხილით ამბობს, რომ გასულ წელს რაიონს აბრეშუმის პარკის მოსავლის გეგმის შესრულებას სამნახევარი პროცენტი დააკლდა. იმასაც აღნიშნავს, რომ გეგმა გადაჭარბებით შეასრულა მათხოჯის სასოფლო საბჭომ, გორდის გეგეჭკორისა და გოჩაჯიხაიშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებმა.

—წელს რაიონში მთელი ინკუბაცია და ჭიის დარიგება ისე მოხდა, რომ ერთი ცვარი წვიმა არ ჩამოვარდნილა. ახლა გაზაფხულის წვიმამ დიდი გვალვების შემდეგ მიწაც გაახარა და ჩვენი გულიც. იგი დედის რძესავით შეერგება ნათესებს, თუთის ფოთოლსა და ჭიასაც. ვინც დააკვირდება ჩვენს აბრეშუმის ჭიას, იგი შეამჩნევს, რომ აბრეშუმს კარგი პირი უჩანს. რაიონში პარკის სახმობებისა და ფარდულების მიმდინარე და კაპიტალური რემონტი პარკის მიღებამდე ათი დღით ადრე იქნება დამთავრებული. მეტი რაღა დაგვრჩენია, ერთადერთი ის, რომ მეაბრეშუმეებს ფხიზლად გვეჭიროს თვალი აბრეშუმის ჭიაზე! — ნინომ ისე გადახედა რაიაბრეშუმის გამგეს, თითქოს ეუბნებოდა, დანარჩენი შენ თქვი. რაიაბრეშუმის გამგემ სიხარული ვერ დაფარა:

— ნინოსთანა მეაბრეშუმე რომ თვითეული კოლმეურნეობის თვითეულ რგოლში გვყავდეს, ყველა რგოლი გამოფენის კანდიდატი იქნებოდა. როცა ნინოს ვუსმენდი, მეც ხარბად შევეცქეროდი, ვფიქრობდი, აი რას ნიშნავს, როცა ადამიანი დაინტერესებულია თავისი რაიონის ბედით-მეთქი. მე რა უნდა ვთქვა! რაც თქვენთვის უნდა მომეხსენებინა, ყველაფერი ნინომ გაუწყათ, მე მხოლოდ მადლობა მეთქმის ნინოს მიმართ.

ნინომ გამომშვიდობებისას მორცხვად, მაგრამ მტკიცედ გვითხრა:

— ოცდაშვიდ მაისს მოწვეულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია. ამ დღისათვის ჩვენ რგოლის აბრეშუმის ჭიამ პარკი უნდა აახვიოს. ოცდაოთხი დღე საკმარისია აბრეშუმის ჭიამ პარკი რომ მოგვცეს.

საამაყო მეაბრეშუმე, ორდენოსანი ქალი ენერგიულად იბრძვის აბრეშუმის პარკის უხვი მოსავლისათვის. მისი წარმატების საწინდარია პატრიოტული შრომა და სამშობლოსადმი სიყვარულის ის ულევი გრძნობა, რომლითაც გამსჭვალულია ნინო ბარაბაძის მთელი ოჯახი.

**სიმონ წვერავა.**

## რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი

დღეს ჩვენი დიადი სამშობლოს გულში — მოსკოვში — იხსნება რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია, მიძღვნილი რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი.

რამდენიმე დღის წინათ უკრაინის დედაქალაქ კიევში გაიმართა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია, რომელმაც დაამტკიცა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე დასასწრებად უკრაინის სსრ მთავრობის დელეგაცია 35 კაცის შემადგენლობით. დელეგაციას მოსკოვს მიაქვს დიდი რუსი ხალხისადმი უკრაინელი ხალხის მისასალმებელი წერილის ტექსტი:

— ჩვენო მეგობარო და ძმაო, რუსო ხალხო! ამ საადღესასწაულო გაზაფხულის დღეებში ბრწყინავს და ჰყვავის უკრაინის მზეა. არ არის ისეთი სახლი, სადაც ზეიმი არ იყოს. უკრაინელი ხალხი ქება-დიდებას ასხამს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა სამშობლოს, კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას.

დიდება პარტიის ნათელ გონებას, მის მამაც, მგზნებარე, კეთილშობილურ გულს — ცენტრალურ კომიტეტს!

„კომუნისტი“ აქვეყნებს უკრაინელი პოეტის მიკოლა ბაჟანის ლექსს „მალემსრბოლი“. ამ ლექსში მხატვრული სახეებით მოთხრობილია უკრაინელი ხალხის გმირულ ბრძოლაზე, რასაც იგი რუსეთთან შეერთებისათვის ეწეოდა, მის დაუცხრომელ, უსაზღვრო, ყოვლისგადამლახველ სიყვარულსა და მისწრაფებაზე მოსკოვისადმი, მოძმე რუსი ხალხისადმი.

შორეული წარსულის ეს ამბები შესანიშნავად ეხმაურება ჩვენს დღეებს, როცა სსრ კავშირის ხალხთა წარგზავნილები ყოველი მხრიდან მოისწრაფვიან მოსკოვისაკენ და სულ სხვადასხვა ენაზე, მაგრამ ყველანი უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით წარმოთქვამენ მეგობრობისა და ძმობის გულითად სიტყვებს.

**მიკოლა ბაჟანი**

# მ ა ლ ე მ ს რ ბ ო ლ ი

### 1.

მალემსრბოლიო! — შესძახა
სვებედნიერი სახითა,
ისროლა წამოსახსმამი
და მსწრაფლ მიუჯდა მაგიდას.

გარეთ იწვოდა დაისი,
ვაშას გრგვინავდნენ ჯარები,
რეკდნენ გაყინულ ზეცაში
პერეიასლავის ზარები.

„რუსეთთან, მარად რუსეთთან!“ —
ხალხის ზღვამ ისევ იგრგვინა,
მერე სალუტის გრიალში
სარკმლებს მოაწყდა ყიყინა.

წინ ედო საწერ-კალამი
და გზა სავალი დიდებით;
„რუსეთთან, მარად რუსეთთან!“ —
წერდნენ გეტმანის თითები.

წერდნენ გეტმანის თითები
მშობელი ხალხის კარნახით;
ხელმარჯვნივ ედო თოფუზი —
მოსკოვს ნაჭედი ვარაყით.

შვენოდა ფართო მხარ-ბეჭი, —
ძირს დაშვებული ულვაში.
ხელთ შეაცოდა კალამი,
წუთით შეცურდა ბურანში...

თვალწინ დაუდგა საძულველ
ხონთქრის, შლიახტის მახვილი,
ეოლტივოდების დიდება,
კორსუნთან ბრძოლის ძახილი...

თვალწინ დაუდგა უეცრად
სახრჩობელების ტყეები,
თავისუფლების ძიების,
სწრაფვის და ბრძოლის დღეები.

„აღსრულდა, უკვე აღსრულდა! —
აღმობდა ჩუმი ჩურჩულით. —
გვფარავდეს დიდი მოსკოვი
და მიწა-წყალი რუსული!

დე, აწ გაბედოს და ვინმემ
მახვილი სამტროდ ალესოს!“
ის გამოერკვა, წამოდგა,
წინ გაეგება მალემსრბოლს.

— მისმინე! — უთხრა საჩქაროდ. —
კვლავ ერთგულებას დამპირდი,
მოსკოვისაკენ გასწიე,
მოსკოვისაკენ გაფრინდი,

და, რადაც უნდა დაგიჯდეს,
ხალხს და სამშობლოს შეჰფიცე,
რომ გრაგნილს ერთგულებისას
გადასცემ რუსს ხელმწიფეს!

— არის! — მიუგო კაზაკმა — ჭაბუკმა, განა ჭაღარამ,
და ნიშნად ერთგულებისა
მიწამდე თავი დახარა.

### 2.

ცა ენთო ვარსკვლავიანი —
ძირს პერეიასლავს უცქერდა.
შთაგონებულს და ბედნიერს
მალემსრბოლს გული უძგერდა.

ყრუდ გასძახოდნენ ერთმანეთს,
ბაღს გარს უვლიდნენ მცველები,
სასახლის ბაღით გასწია,
ბნელში ტოკავდნენ ცხენები.

თეორონისაკენ გასწია —
ელოდა თვისი გაზრდილი;
უცებ ქვიტკირის გალავანს
მოსცილდა წყვილი აჩრდილი:

— კაზაკო, წუთით შეჩერდი,
ჩვენ აქ ვზეიმობთ დილამდის,
ამ ერთი ჯამით დაგვლოცე,
დღე გვიდღეგრძელე დიდი.

— გმადლობთ! არა ვსვამ! გზა მეთქი!
ჩამომეცალეთ, გამიშვით!
უცებ დაიქცა ფიალა,
დაშნამ იელვა ღამეში...

შეიქნა სამკვდრო ჭიდილი,
მაგრამ იმ ორის იერიშს
ერთმა ავჯობა — ჭაბუკმა —
მკლავი იხმარა ძლიერი,

თოვლში წაამხო პირველი —
შიგ შუბლში დაჰკრა მუხანათს,
ცხენს მიაშურა სირბილით,
მეორეს მარჯვედ უგანა,

ჩამოიტოვა მსტოვრები,
ნამქერი გადაირბინა
და ჰა, თოვლიან ტრამალში
მოსკოვისაკენ მიფრინავს.

### 3.

გაშლილა ძუა-ფაფარი,
ტრამალში ზუის ქარბუქი.
მოსკოვისაკენ მიფრინავს
უკრაინელი ჭაბუკი.

მოსკოვისაკენ მიფრინავს,
მიჰქრის და ღამეს მიაპობს.
მტრისგან გადამწვარ სოფელში
სანთელიც არსად კიაფობს.

ჩაიფრენს ცხენი ნასოფლარს,
კორტოხებსა და ბუჩქნარებს...
— უჩქარე, ჩემო თეთრონო,
მოსკოვისაკენ უჩქარე!

გზად სახრჩობელას უგანე,
ნუ ფრთხი და ნუღარ ჭიხვინებ,
უჩქარე, სახრჩობელები
პირველად ხომ არ იხილე!

პირველად ხომ არ იხილე
მტრისგან დამწვარი სოფელი!
სახრჩობელაზე დაჭიდა
თათარმა ჩემი მშობელიც...

უჩქარე, ვიდრე ღამეა,
უჩქარე, ვიდრე ბინდია!
ექვსი წელია, სამშობლო
სახრჩობელაზე ჰკიდია!

წითლდება აღმოსავლეთი,
თენდება, წითლად თენდება...
ტყისპირ პაწია ხუტორში
მხედარი წუთით ჩერდება.

გზას გაასწავლის მოხუცი —
მამაშვილურად არიგებს:
— გაფრთხილდი, თათრის რაზმებმა
აქაურობა აიკლეს!

გაშლილა ძუა-ფაფარი,
სტვენს და ზუზუნებს ქარბუქი,
ხან ტრამალ-ტრამალ მიფრინავს,
ხან ტყე-ტყე მიჰქრის ჭაბუკი.

მოსკოვისაკენ მიფრინავს, —
მისი ოცნებაც ის არი.
უცებ გველური წივილით
მუხას მიასკდა ისარი...

— წინ! — გადუპირა მათრახი,
ცხენი ასკუპა ნავარდით.
მაშინ გამოხტა თათარი,
გაფრენილს სტყორცნა ქამანდი;

გაადა... მხარში გათოკა...
ვაი თუ ვეღარ გადარჩა!
მაგრამ იმარჯვა ჭაბუკმა,
ქამანდი დაშნით გადასჭრა,
მერე იძრო და... ბუსურმანს
შუბლს დაახალა დამბაჩა.

### 4.

გაშლილა ძუა-ფაფარი
სტვენს და გრიალებს ქარბუქი...
ღამეს სოფელში გაათევს
და კვლავ მიფრინავს ჭაბუკი.

უამბეს: დაბრუნებულან
ისევ ლიტველი პანები.
წინ ჩერნიგოვის მხარეა, —
ბოლავენ ნახანძრალები.

და ჰა, მესამე დილაზე,
ჩერნიგოვს როგორც გასცილდა,
ხუთი ცისფერი მუნდირი
უცებ კორტოხზე გაბრწყინდა,

გადუდგნენ რეიტერები —
ეს ვინ მოარბევს ჭალებსო!
შამბნარიანში უყელეს
ბოგდან ხმელნიცკის მალემსრბოლს.

ხუთმა ესროლა ხუთ-ხუთი,
პასუხი ერთმა გაიღო,
წაიფორხილა თეთრონმა,
დათოვლილ შამბში წაემხო.

გვამს მოეფარა ცხენისას,
თოვლში ჩასანგრდა ვაკაცი,
დამბაჩას სტენის ხაჩქაროდ,
ერთი წევს ხუთის ალყაში.

ხუთმა ესროლა ხუთ-ხუთი,
პასუხად ერთის ხმა იყო,
ერთმა ცისფერმა მუნდირმა
წაიჩოქა და წაემხო.

მეორეც პირველს მიუწვა,
მაგრამ ის სამნი ისვრიან
და მალემსრბოლის კისერზეც
წითლად რომ მოჩანს — სისხლია...

### 5.

მარაგად ბოლო ტყვიაა,
ალყა კი იკვრის ჯგიუტად;
ნუთუ ხმელნიცკის პერგამენტს
იგი კრემლს ვეღარ მიუტანს!

არა! ვერც ხანი ყირიმის,
არა! ვერც ლიტვის თავადი,
ვერც პოლონეთის შლიახტა,
ვერც ბუსურმანის ქამანდი

ძმობას ვერ გადუდგებიან,
გზას ვერ მოშლიან ძმობისას!
ის ადგა... უცებ მხარმარჯვნივ
სროლა გაისმა თოფისა...

კვნესა აღმოხდა რეიტერს,
თოფმა კვლავ გაიგრუხუნა.
იქნება თვალი ათყუეს,
იქნება სმენამ უმტყუნა!

გარბიან რეიტერები,
სამს დაუბნელდა ცისკარი,
თოვლში კი მალემსრბოლისკენ
რუსი ვაუკაცი იჩქარის.

ხელთ მოკლე თოფი უპყრია,
თოფის ლულაზე ბოლია.
— ნახე? იკადრეს გაქცევა,
მაგრამ დაჭრილხარ, მგონია.

ის დაიხარა საჩქაროდ,
დაჭრილს ჩახედა თვალებში:
— გზა საითა გაქვს, კაზაკო? —
ჰკითხა ზრუნვით და ალერსით.

— რაო? მეც მოსკოვს ვიჩქარი. —
შემოიხია ხალათი,
ჭრილობას უხვევს:
— კრემლს მიმაქვს
მეც ბუტურლინის ბარათი.

### 6.

ხუტორებს ნისლი დაჰბრუნავს,
სოფლები თოვლში ჩაფლულან,
დიდი მოსკოვ-მდინარე
წინ გადეშალათ ზღაპრულად.

მეხუთე დილა თენდება,
წყალგადმა კრემლი კიაფობს.
ერთ ცხენზე ამხედრებული
ორი ძმა ტრამალს მიაპობს.

გზაშარა ძნელად სავალი
აწ და მარადის თავდება.
შუბლზე ხალათის ნახევი
თანდათან უფრო შავდება.

— გახედე ოქროს გუმბათებს,
ეგ შობლიური კრემლია,
გახედე, ძმაო კაზაკო,
გამაგრდი, კრემლში გელიან!

წითლად ბრწყინავდა ცისკარი,
ელავდნენ კრემლის კედლები,
მაცხოვრის ჭიშკარს მიადგნენ
ძმათშეფიცული მხედრები,

ჩამობტნენ, ერთურთის შესცინეს,
მკერდი მკერდს გადაეღობა;
გადაეხვია კაზაკი
თავის მხსნელსა და მეგობარს.

შემდეგ შებრუნდა საჩქაროდ,
მაღალ ქონგურებს გახედა,
წინ ჩარსდგა ბიჯი კრემლისკენ,
გაოცებისგან გახევდა...

ცას ცისარტყელა გაევლო
დნეპრიდან კრემლის კარამდის,
ხელთ ეპყრა მამაც მალემსრბოლს
ბოგდან ხმელნიცკის ბარათი —
თავისუფლება, ერთობა,
და მეგობრობა მარადი!

თარგმნა უკრაინულიდან
**მურმან ლებანიძემ.**

**სურათზე:** უკრაინის სსრ სუმის ოლქის ტალალაევკის რაიონის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა „ბარსკოვშჩინის“ განყოფილების მმართველი ტიმოთე პავლეს-ძე პიროგი პურმარილით ეგებება საქართველოს დელეგაციის წარმომადგენელს — ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს სოციალისტური შრომის გმირს ვლადიმერ მაქაცარიას.

ფოტო ვ. მასურგანისა.

# მ ა ტ ი ა ს რ ა კ ო ს ი ს მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

## უნგრეთის მშრომელთა პარტიის III ყრილობაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუდაპეშტი, 25 მაისი. (საკადესი). გამოვიდა გუშინ უნგრეთის მშრომელთა პარტიის III ყრილობაზე დღის წესრიგის პირველი პუნქტის შესახებ — „უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და უნგრეთის მშრომელთა პარტიის ამოცანები“, მატიას რაკოშმ თქვა:

წელს 10 წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც სახელოვანმა საბჭოთა არმიამ გადმოლახა უნგრეთის საზღვარი და დაიწყო ჩვენი სამშობლოს განთავისუფლება. წელს 10 წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც მოწვეულ იქნა დროებითი ეროვნული კრება და ჩამოყალიბდა დროებითი ეროვნული მთავრობა, და ამრიგად აღორძინდა უნგრეთის სახელმწიფო. უკვე 10 წელიწადია, რაც ჩვენი სამშობლო თავისუფალია.

თუ განვიხილავთ იმ პერიოდს, რომელმაც განვლო უნგრეთის განთავისუფლების დღიდან, შეიძლება დავადგინოთ, რომ ჩვენი ისტორიის ათასი წლის მანძილზე ჩვენს ხალხს არ განუცდია ისეთი დიდი ეკონომიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული გარდაქმნები, როგორც მარტო ამ ათი წლის მანძილზე.

მარტო ამ ათი წლის მანძილზე, განაცხადა მ. რაკოშმ, ძირეულად შეიცვალა ჩვენი სამშობლოს ეკონომიური წყობილება, სრულიად შეიცვალა ჩვენი ეკონომიკის სტრუქტურა, შეიცვალა ჩვენს ქვეყანაში წარმოების წესი, შეიცვალა საწარმოო ურთიერთობანი. წარმოების სოციალისტური ფორმა ერთადერთი გაბატონებული სისტემაა მრეწველობის დარგში, ტრანსპორტზე, ვაჭრობაში, ბანკების საქმიანობაში.

რაკოშმ აღნიშნა, რომ ძირეულად შეიცვალა უნგრეთის საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურაც, შეიცვალა თვით კლასები და ურთიერთობა კლასებს შორის. ლიკვიდირებულია მემამულეთა, მსხვილ მიწათმფლობელთა კლასი. როგორც კლასმა, არსებობა შეწყვიტა სამრეწველო ბურჟუაზიამ.

ახლანდელ უნგრეთში არის ამ ექსპლოატატორული კლასების მხოლოდ ნაშთები. უკანასკნელი ექსპლოატატორული კლასი — სოფლის ბურჟუაზია, კულაკთა კლასი, უკუგდებულია ვიწრო უბანზე.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მნიშვნელოვნად გაიზარდა რიცხობრივი შემადგენლობა, შეგნება, კულტურული დონე და ორგანიზებულობა მუშათა კლასისა, რომელიც ამჟამად ხელისუფლების სათავეშია. ომამდელ დონესთან შედარებით, მუშათა კლასი გაიზარდა ნახევარი მილიონით, ესე იგი თითქმის 50 პროცენტით. მუშათა კლასში ლიკვიდირებულია გათიშვა, რაც ათეული წლების მანძილზე იყო. მუშათა კლასი გახდა ერის ხელმძღვანელი კლასი, ერთიანი და ორგანიზებული კლასი, რომელსაც ხელმძღვანელობს პოლიტიკურად ერთიანი, მიზანდასახული ძალა.

მშრომელი გლეხობა აღარ არის ჩაგრული, დამონებული კლასი, რომელიც ატანჯება ბანკების, მემამულეებისა და კულაკობის უღელქვეშ. გლეხთა უმრავლესობამ საშუალო გლეხის დონეს მიაღწია.

ახალი დიდი ძალა გახდა ინტელიგენცია, რომლის ძირითადი მასაც ბურჟუაზიულ ინტელიგენციას აღარ წარმოადგენს, რადგან აღარ არსებობს თვით ბურჟუაზია, რომელზეც დამოკიდებული იყო ამ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ფენის ცხოვრება.

რაკოშმ აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ძირეულად შეიცვალა უნგრეთის მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა. მაგალითად, 1954 წლის პირველ ნახევარში ქარხნის მუშას რეალური ხელფასი საშუალოდ 57 პროცენტით მეტია, ვიდრე 1938 წელს იყო. გლეხის ოჯახის რეალური შემოსავალი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 50 პროცენტით აღემატება 1938 წლის შემოსავალს.

ჩვენი სამშობლო, თქვა მომხსენებელმა, ფინანსური კაპიტალის ქვეყნიდან, მსხვილი მიწათმფლობელობისა და მსხვილი კაპიტალის ქვეყნიდან, ექსპლოატატორთა და მჩაგვრელთა ქვეყნიდან გადაიქცა სოციალიზმის მშენებელ სახალხო დემოკრატიის ქვეყნად.

რაკოშმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელი 10 წლის უდიდესი მიღწევა ის არის, რომ განხორციელდა დიდი ლენინის გენიალური მოძღვრება მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე კავშირის შექმნის შესახებ, კავშირისა, რომელიც უნგრეთში ახალი სახელმწიფო ხელისუფლების საფუძველია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე გაჩნდნენ და სულ უფრო მეტ როლს ასრულებენ საზოგადოების განვითარების ისეთი უდიდესი ახალი მამოძრავებელი ძალები, როგორიც არის მუშათა და გლეხთა კავშირი, მზარდი სოციალისტური პატრიოტიზმი, აგრეთვე უნგრეთის მშრომელი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, რომელიც სულ უფრო იზრდება და მტკიცდება. ამ ახალ მამოძრავებელ ძალებთან ერთად ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ განვითარებაზე გავლენას ახდენს ის ფაქტი, რომ უნგრეთი ეკუთვნის უდიდეს 800-მილიონიან სოციალისტურ ბანაკს.

საბჭოთა კავშირმა, განაგრძო მან, არა მარტო გზა გაუკაფა ჩვენს განვითარებას. მან გაგვიწია და განუწყვეტლივ გვიწევს ეკონომიურ, პოლიტიკურ, ტექნიკურ, მეცნიერულ და ყოველგვარ სხვა დახმარებას, რათა ჩვენმა ხალხმა გადალახოს მის გზაზე წამოჭრილი სიძნელენი. საბჭოთა კავშირის დახმარებამ და მდიდარმა გამოცდილებამ გაგვიადვილა და გვიადვილებს ჩვენს შემოქმედებითს მუშაობას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მისი ბრძნული პოლიტიკა, რომელიც მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის მოძღვრების გრანიტის საძირკველს ემყარება, მთელი ჩვენი მუშაობის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავია.

მ. რაკოში დაწვრილებით შეეხო უნგრეთის საერთაშორისო მდგომარეობას და აღნიშნა ის თანმიმდევრული ბრძოლა მშვიდობისათვის, რომელსაც აწარმოებენ საბჭოთა კავშირი და მშვიდობის ბანაკის სხვა ქვეყნები.

მშვიდობა, ამბობს მომხსენებელი, ჩვენი მომავალი განვითარების მთავარი საწინდარია, და ამიტომ ჩვენ ყველფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ჩვენმა საგარეო პოლიტიკამ ხელი შეუწყოს მშვიდობის განმტკიცებას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, ხალხთა შორის თანამშრომლობის გაფართოებას. ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მიზანია თანამშრომლობა ყველა სხვა ქვეყანასთან თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთ ინტერესების პატივისცემის საფუძველზე.

ჩვენი საგარეო პოლიტიკის საფუძველია მტკიცე მეგობრობა საბჭოთა კავშირთან და მშვიდობის ბანაკის დანარჩენ ქვეყნებთან, თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება საბჭოთა კავშირთან და დანარჩენ მეგობრულ ქვეყნებთან.

მ. რაკოშმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნგრელი ხალხის ინტერესები მოითხოვენ უწინარეს ყოვლისა გერმანიის მილიტარიზმისა და გერმანიის იმპერიალიზმის აღორძინების თავიდან აცილებას. ამიტომ უნგრელი ხალხი, თქვა მან, სრული მოწონებითა და სიმპათიით ხვდება საბჭოთა კავშირის ყოველ ნაბიჯს, რომლის მიზანია გერმანიისა და ავსტრიის საკითხთა მშვიდობიანი დემოკრატიული გადაწყვეტა.

ჩვენ, თქვა მან, მთელი ძალებით ვუჭერთ მხარს საბჭოთა კავშირის მიერ ბერლინის თათბირზე შეტანილ წინადადებას ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების დადების თაობაზე, რაც უნგრეთის სახალხო რესპუბლიკასაც მისცემს შესაძლებლობას ევროპის ყველა დიდ და მცირე სახელმწიფოსთან ერთად თანასწორუფლებიანი მხარის სახით აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარებაში.

ბოლოს, უნგრელ ხალხს საჭიროდ მიაჩნია მისი ქვეყნის მიღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმ ვალდებულებათა შესაბამისად, რომლებიც იკისრეს დასავლეთის დიდმა სახელმწიფოებმა საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის დროს, რათა იქაც გამოვიდეს მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესების დასაცავად, საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად, მასობრივი მოსპობის იარაღის ასაკრძალავად.

შეეხო რა უნგრეთის სახალხო მეურნეობის საკითხებს, რაკოშმ აღნიშნა მრეწველობის, განსაკუთრებით წარმოების საშუალებათა წარმოების განვითარების სწრაფი ტემპი.

უნგრეთის მშრომელთა პარტიის II ყრილობის შემდეგ განვლილი სამი წლის (1951-1953) მანძილზე სამრეწველო წარმოება 73 პროცენტით გაიზარდა.

ამავე პერიოდში მძიმე მრეწველობის წარმოება გაიზარდა 118,8 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობისა — 40,7 პროცენტით, კვების მრეწველობისა — 63,2 პროცენტით. შრომის ნაყოფიერება საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობაში გაიზარდა 27 პროცენტით. პროდუქციის თვითღირებულება კი შემცირდა მხოლოდ 8 პროცენტით.

ამრიგად, განაცხადა მ. რაკოშმ, ჩვენ ვერ დავეჯერებით თვითღირებულების შემცირების მიღწეულ დონეს. მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინდუსტრიალიზაციამ, მძიმე მრეწველობის განსაკუთრებით სწრაფმა განვითარებამ, რომლის დროსაც მხედველობაში არ იყო მიღებული ჩვენი ქვეყნის რეალური მდგომარეობა, მისი რესურსები, მშრომელი ხალხის სასიცოცხლო მოთხოვნილებანი, სერიოზული უეცდომები გამოიწვია. განვლილი სამი წლის მანძილზე დიდი დისპროპორცია წარმოიშვა მძიმე მრეწველობის წარმოებასა და მსუბუქი და კვების მრეწველობის წარმოებას შორის. მეტისმეტი ინდუსტრიალიზაციის გამო ჩვენ ჯერ-ჯერობით ვერ ეროვნულ ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის განვითარებას.

რაკოშმ აღნიშნა, რომ პირველი ხუთწლიანი გეგმა ეშყარება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენის დროს შეძენილ გამოცდილებას და იმ წარმატებებს, რომლებიც მიღწეულ იქნა სამწლიანი გეგმის განხორციელების მსვლელობაში. მაშინ როცა სამრეწველო წარმოება სამწლიანი გეგმის შესრულების ბოლოს 1938 წელთან შედარებით 37,5 პროცენტით გაიზარდა, პირველი ხუთწლიანი გეგმის ბოლოს უნგრეთის სამრეწველო წარმოება უკვე ერთისამად და უფრო მეტად აღემატება 1938 წლის წარმოებას.

ხუთწლიანი გეგმის შესრულების მსვლელობაში ათვისებულ იქნა ბევრი ახალი სახის სამრეწველო პროდუქცია: სატვირთო მანქანები, თვითსაცლელები, ავტობუსები, კომბაინები, ახალ სახეობათა ჩარხები, რომლებიც იგზავნება არა მარტო საშინაო ბაზარზე, არამედ საექსპორტოდაც, და სხვ. ხუთი წლის განმავლობაში უნგრეთში აშენდა 65 ახალი სამრეწველო საწარმო, გაფართოვდა და რეკონსტრუირებულ იქნა 84 საწარმო.

დღემდე მიღწეულ წარმატებათა შედეგად პირველ ხუთწლეულში, თქვა რაკოშმ, ჩვენი ქვეყანა აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყნიდან ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა.

ვლაპარაკობთ რა უდიდეს წარმატებებზე, თქვა მ. რაკოშმ, არ შეიძლება გვერდი აუაროთ იმ სერიოზულ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს, რომლებმაც თავი იჩინა სამეურნეო მშენებლობაში. ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების ყველაზე სერიოზული დისპროპორცია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის თანაფარდობაშია.

მაშინ როცა მრეწველობა სწრაფად ვითარდებოდა, სასოფლო-სამეურნეო წარმოება თითქმის არ გადიდებულა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მინდვრების მოსავლიანობა მხოლოდ უმნიშვნელოდ აღემატება ომამდელ საშუალო მოსავლიანობას, ხოლო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორისა და ცხვრის სულადობას ჯერ კიდევ არ გადაუჭარბებია ომამდელი დონისათვის.

ილაპარაკა რა უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიღებულ იქნა გასული წლის ივნისში, ოქტომბერსა და დეკემბერში, მ. რაკოშმ თქვა, რომ ეს გადაწყვეტილებანი პირველ პლანზე აყენებენ დისპროპორციების ლიკვიდაციას სახალხო მეურნეობაში და, უწინარეს ყოვლისა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვან განვითარებას, აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარების დაჩქარებას და ყოველივე ამასთან ერთად მოსახლეობის ცხოვრების დონის განუწყვეტლივ ამაღლებას.

სოციალისტური მშენებლობის ახალ ეტაპზე, თქვა რაკოშმ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიის პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ ერთიანობას, მასებთან მისი კავშირის განმტკიცებას, აგრეთვე იმას, რომ უზრუნველყოფილ იქნას სრული, პრინციპულ საფუძვლებზე დამყარებული ერთიანობა და კოლექტიურობა ხელმძღვანელობისა მთელ პარტიაში და განსაკუთრებით ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში.

როგორც შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, სოციალიზმის მშენებლობის ახალ ეტაპს უნგრეთში ახასიათებს შემდეგი მომენტები:

პირველი, სახალხო მეურნეობაში მჭიდროდ არის შეხამებული საწარმოო ძალთა განვითარება მუშათა კლასის, მთელი ხალხის ცხოვრების ღონის მუდმივ ამაღლებასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალიზმის ძირითადი კანონი სულ უფრო თანმიმდევრულად და ყოველისმომცველად მოქმედებს საზოგადოებაში;

მეორე, წარმოშობილი დისპროპორციების ლიკვიდაცია, ახალ დისპროპორციათა წარმოშობის თავიდან აცილება;

მესამე, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა, როგორც უნგრეთში სოციალიზმის აშენებისა და სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის ძირითადი საშუალება, საერთოდ სულ უფრო მეტად ემყარება ეკონომიურ თანამშრომლობას სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან. ეს თანამშრომლობა ხორციელდება უფრო მაღალი დონით, განსაკუთრებით უნგრეთის სახალხო მეურნეობის გეგმის შეთანხმებით ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და სხვა ქვეყნების სახალხო მეურნეობის გეგმებთან;

მეოთხე, ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიური, სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის ერთიდროული და სწრაფი განვითარება;

მეხუთე, ყოველივე ამის საფუძველზე უფრო ეაღალი დონით განხორციელდება მუშათა კლასსა და მშრომელი გლეხობის კავშირი, უფრო მაღალი დონით განხორციელდება მუშათა კლასის ხელმძღვანელობა მუშათა და გლეხთა კავშირში, განმტკიცდება სახელმწიფო ხელისუფლება მუშათა კლასისა, რომელიც მშრომელ გლეხობასთან კავშირში იმყოფება.

რაკოშმ ილაპარაკა იმ პირველ წარმატებებზე, რომლებიც მიღწეულ იქნა პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგად. უწინარეს ყოვლისა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მთელი მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა. ფასების შემცირებამ, რომელიც ორჯერ განხორციელდა გასული წლის მეორე ნახევარში, და ხორცისა და ცხიმეულის ფასების შემცირებამ მიმდინარე წლის მარტში გამოიწვია ის, რომ მოსახლეობა წელიწადში დაზოგავს 2.100 მილიონ ფორინტს. წელს საბინაო მშენებლობის მოცულობა შარშანდელთან შედარებით თითქმის ერთიორად გადიდდა. დიდი მასშტაბით დაიწყო საცხოვრებელი სახლების შეკეთება. საწარმოებში დიდი ყურადღება ექცევა შრომის დაცვას, უსაშიშრობის ტექნიკას და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებას. მიმდინარე წლის განმავლობაში უკვე გაუდიდდა და კიდევ გაუდიდდება ხელფასი ყველა მუშისა და მოსამსახურის დაახლოებით ნახევარს. მატულობს აგრეთვე პენსიები.

გაიზარდა აგრეთვე გლეხობის შემოსავალი. პარტიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მთავრობამ შეამცირა და რამდენიმე წლით წინასწარ განსაზღვრა გლეხთა სავალდებულო ჩაბარება და მნიშვნელოვანი შეღავათი მიანიჭა საწარმოო კოოპერატივებს ჩაბარებაში. მთავრობამ მოსპო შეზღუდვები გლეხთა მიერ თავისი პროდუქტების ნამატის თავისუფალ გაყიდვაში. პარტიისა და მთავრობის ასეთი პოლიტიკის შედეგად გაიზარდა გლეხთა სურვილი გადიდონ თავიანთი წარმოება. გაცხოველდა ვაჭრობა ქალაქსა და სოფელს შორის, ძლიერ გაიზარდა საქონლის გასაღება სოფლად სახელმწიფო და კოოპერაციული ქსელის საშუალებით. აგრეთვე გაიზარდა, თუმცა არასაკმარისად, პროდუქტების შემოზიდვა ქალაქის ბაზრებზე.

მაგრამ აქამდე, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, საქმის არსის მიხედვით შექმნილია სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის მხოლოდ დაწყებითი წინაპირობები. ჯერ კიდევ საჭიროა ძალიან დიდი შეუპოვარი და მტკიცე მუშაობა, რათა განხორციელდეს პარტიისა და მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 23 დეკემბრის დადგენილება სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის შესახებ.

უნგრეთის მშრომელთა პარტიის პოლიტიკა გლეხთა საკითხში, თქვა მ. რაკოშმ, უცვლელად ემყარება ცნობილ ლენინურ ლოზუნგს: მტკიცედ დავეყრდნოთ ღარიბ გლეხობას, განვაზორციელოთ მჭიდრო კავშირი საშუალო გლეხთან და ერთი წუთითაც არ შეეწყვეტოთ მდიდრებისა და კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლა.

ბუნებრივია, რომ ჩვენი პარტია და მუშათა კლასი მტკიცედ ეყრდნობიან კოოპერაციაში გაერთიანებულ გლეხობას.

ახლა საწარმოო კოოპერატივებს აქვთ სახნავი მიწის 18 პროცენტი, მათი სახნავი ფართობი 1,7 მილიონ ხოლდს აღემატება. საწარმოო კოოპერატივებში გაერთიანებულია 200 ათასი ოჯახი, ხოლო წევრთა რიცხვი მეოთხედ მილიონს აღემატება.

სახელმწიფო მეურნეობებს ახლა აქვთ უნგრეთის მთელი სახნავი მიწის 12,5 პროცენტი. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ვერ იყენებენ მსხვილი სოციალისტური მეურნეობის უდიდეს შესაძლებლობებს. სახელმწიფო მეურნეობათა ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა მეურნეობის ეაუმჯობესება, ხელმძღვანელობის დონის ამაღლება, დისციპლინის განმტკიცება, მუშახელის შენარჩუნება, სახელმწიფო საკუთრების ქმედითი დაცვა განიავებისაგან და სასტიკი წესრიგის დამყარება სახელმწიფო მეურნეობათა მთელ მუშაობაში.

შემდეგ რაკოში შეეხო სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის განვითარებას. წელს საცალო ბრუნვის დონე 19 პროცენტით გადააჭარბებს შარშანდელ დონეს.

შეეხო რა მეორე ხუთწლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის ამოცანებს, მ. რაკოშმ თქვა: მეორე ხუთწლიანი გე

# მატიას რაკოშის მოხსენების დასასრული

ერთიანობაც. პარტიის ხელმძღვანელობა ემყარება მტკიცე, პრინციპულ ერთიანობას, რომლის ძირითადი მოთხოვნაა ხელმძღვანელობა გაუწიოს პარტიასა და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას ისე, რომ პარტია მუდამ და ყოველგვარ მდგომარეობაში ყველაზე მეტი წარმატებით ემსახურებოდეს ხალხის საქმეს, იცავდეს მას მტრის ყოველგვარი თავდასხმისაგან.

უნგრეთის მშრომელთა პარტიის ბრძოლისა და მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატება ის არის, რომ იგი ყრილობას შეხვდა განმტკიცებული, დარაზმული; პარტიის ძალა და გავლენა მიღწეულია იმით, რომ იგი მშრომელი ხალხის პარტიაა, რომ იგი, მტკიცედ დაუკავშირდა რა მშრომელ მასებს, ახორციელებს მათს მისწრაფებებს. მიუხედავად პარტიის მუშაობის გაუჯობესებისა, ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად არ ვითარდება თვითკრიტიკა და ზემდგომი ორგანოები ჯეროვნად ვერ უპერებენ მხარს კრიტიკას ქვემოდან. კრიტიკა და თვითკრიტიკა პარტიის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი ძალაა, და ამიტომ პარტიამ აუცილებლივ უნდა მიაღწიოს იმას, რომ კრიტიკასა და თვითკრიტიკას მოსდევდეს შეცდომების სწრაფი და სრული ლიკვიდაცია და მუშაობის გაუმჯობესება.

მეორე ყრილობის შემდეგ მნიშვნელოვნად გადიდდა პირველადი ორგანიზაციების რიცხვი. 1951 წლის 1 იანვრისთვის იყო 12.933 პირველადი ორგანიზაცია, ხოლო 1954 წლის 1 იანვრისათვის მათი რიცხვი 21.551-მდე გაიზარდა. პარტიის წევრთა რიცხვი შეადგენს 864.607, აქედან 810.227 პარტიის წევრია და 54.387 — კანდიდატი.

რაკოშმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო თავის მოხსენებაში პარტიის იდეოლოგიური მუშაობისა და კადრებთან მუშაობის საკითხებს.

ჩვენი პარტიის გენერალური ხაზია, თქვა დასასრულ რაკოშმა, სოციალიზმის საფუძვლების აგება ჩვენს ქვეყანაში და ამასთან ერთად ჩვენი ხალხის მატერიალური და კულტურული დონის თანმიმდევრული ამაღლება, აგრეთვე განუწყვეტელი ბრძოლა იმისათვის, რომ ჩვენ შეძლოთ სოციალიზმის აშენება მშვიდობიან პირობებში. იმისათვის, რომ განახორციელოთ პარტიის გენერალური ხაზი, საჭიროა უწინარეს ყოვლისა კიდევ უფრო გავაფართოოთ და განვამტკიცოთ პარტიის კავშირი მშრომელ ხალხთან, კიდევ უფრო მჭიდროდ დავარაზმოთ მისი რიგები, რათა ჩვენი პარტია ახლა უფრო ერთიანი და მონოლითური გახდეს, ვიდრე ოდესმე, რადგან მისი მთავარი ძალა მისი პოლიტიკის სისწორესთან ერთად არის მისი იდეოლოგიური, პოლიტიკური, ორგანიზაციული ერთიანობა, პარტიის მოქმედების ერთიანობა. ამიტომ ჩვენ თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ პარტიის ერთიანობას, როგორც ყველაზე ძვირფას განძს.

უნდა უზრუნველვყოთ ის, რომ მტერმა ვერ ნახოს ჩვენს პარტიაში არა მარტო ხვრელი, არამედ ოდნავი ბზარიც კი.

პარტიის გენერალური ხაზის წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროა კიდევ უფრო განვამტკიცოთ და ურღვევი გავხადოთ მუშათა და გლეხთა კავშირი — ჩვენი სახალხო სახელმწიფოს საფუძველი, ჩვენი მონაპოვრებისა და ახალი გამარჯვებების განმტკიცების საწინდარი.

უნდა გავაფართოოთ ის საფუძველი, რომელსაც ემყარება პარტიის პოლიტიკა და ჩვენი სახალხო სახელმწიფო. უნდა შევქმნათ და განვავითაროთ დამოუკიდებლობის სახალხო ფრონტი როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა პატრიოტულ და მშვიდობისმოყვარე ძალთა ფართო გაერთიანება.

პარტიის გენერალური ხაზის წარმატებით განხორციელება მოითხოვს ჩვენი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს, სახალხო დემოკრატიის სახელმწიფოს განუწყვეტლივ განმტკიცებას, ფართო მასების უფრო აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოს მუშაობაში და კონტროლში.

პარტიის გენერალური ხაზის გამარჯვების უზრუნველყოფისათვის საჭიროა გავაღრმაოთ, უფრო მტკიცე და უფრო მჭიდრო გავხადოთ ჩვენი ხალხის გულწრფელი მეგობრობის ურთიერთობა კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა კავშირთან, ჩვენი ქვეყნის განმათავისუფლებელთან, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლის მეღრონეესთან, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთანაც. საჭიროა დაუფასებელ ყველა ქვეყანას, რომლებიც იბრძვიან ავანგარდული იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ, თავიანთი დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისათვის.

## ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა ფამ ვან დონგმა სადილი გამართა ვ. მ. მოლოტოვის პატივსაცემად

ჟენევა, 25 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციი ჟენევის თათბირზე იუწყება, რომ დელეგაციის მეთაურმა ფამ ვან დონგმა გუშინ სადილი გამართა საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ვ. მ. მოლოტოვის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური ჯოუ ენლაი და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური ნამ ირი.

## გულგარეთ-რუმინეთის სავაჭრო შეთანხმება

სოფია, 24 მაისი. (საკდესი). გუშინ სოფიაში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება 1954 წლის საქონელბრუნვისა და გადასახდელთა შესახებ. ამ შეთანხმებით რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა ბულგარეთს მიაწვდის ნავთობპროდუქტებს, ქიმიკალიებს, ტრაქტორებს და სხვა მანქანებსა და მოწყობილობას. ბულგარეთი რუმინეთს მიაწვდის მადანს, კვების პროდუქტებს, აზბესტცემენტის მილებს და სხვ.

## წითელი ჯვრის საზოგადოებათა ლიგის საბჭოს სესიაზე

ოსლო, 25 მაისი. (საკდესი). გუშინ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა წითელი ჯვრის საზოგადოებათა ლიგის საბჭოს 23-ე სესია, რის შემდეგაც გაიმართა პირველი საქმიანი სხდომა. სხდომამ დაამტკიცა სესიის დღის წესრიგი, რომელშიც, სხვათა შორის, გათვალისწინებულია განხილვა იაპონიის რეზოლუციის პროექტისა ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ და შვეიცის რეზოლუციის პროექტისა განიარაღებისა და მშვიდობის უზრუნველყოფის შესახებ. ინდოეთის დელეგაციამ შეიტანა ორი რეზოლუციის პროექტი. ერთ-ერთი რეზოლუცია მოითხოვს მიმართონ მოწოდებით ჟენევის თათბირს დაუყოვნებლივ შეწყდეს საომარი მოქმედება ინდოჩინეთში, მეორე რეზოლუცია მოითხოვს — მოუწოდონ ყველა ქვეყანას აიკრძალოს გაზებისა და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება ომში.

ჰოლანდიის წითელი ჯვრის საზოგადოებამ წამოაყენა წინადადება შეიქმნას წითელი ჯვრის დახმარების საერთაშორისო ფონდი, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას უკიდურესი საჭიროების დროს.

გუშინ საღამოს ნორვეგიის მთავრობამ სადილი გამართა სესიის დელეგატთა პატივსაცემად. დღეს სესია განაგრძობს მუშაობას.

## პოლიციის ტერორი დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 24 მაისი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის ლანდტაგის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით ადენაუერმა ტერორის კამპანია დაიწყო კომპარტიის კანდიდატების წინააღმდეგ. 22 მაისს პოლიციამ დაატმრა ქალაქ ჰელზენკირხენის საქალაქო საბჭოს წევრი გერმანიის კომპარტიისაგან და შახტ „დალბუშის“ საწარმოო საბჭოს წევრი დიბიაზი. მას ბრალად ედება, რომ მონაწილეობა მიიღო „ეროვნული გაერთიანების პროგრამის“ შემუშავებაში (პროგრამა დაამუშავა გერმანიის კომპარტიის გამგეობამ).

მარტო ერთ დღეს — 21 მაისს საპყრობილეში ჩასვეს გერმანიის კომპარტიის გამგეობის 3 წევრი — ვალტერ ფიმი, რიპარდ შერინგერი და კარლ ცემკე. გერმანიის კომპარტიის გამგეობის კიდევ ორი წევრი — ოსკარ ნოიმანი და კარლ დიკელი უნდა წარუდგნენ ბონის სასამართლოს 14 ივნისს.

## მსოფლიო ჩემპიონები

სპორტის მოყვარულთა საერთო ინტერესი გამოიწვია მსოფლიოს პირად-გუნდური პირველობის გათამაშებამ თავისუფალ ჭიდაობაში, რაც ტოკიოში მიმდინარეობდა 22-დან 25 მაისამდე. უძლიერესთა ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო 15 ქვეყნის — სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, უნგრეთის, თურქეთის, ირანის, შვეიცის, ავსტრალიის, არგენტინის, დანიის, ფინეთის, საფრანგეთის, ახალი ზელანდიის, დასავლეთ გერმანიის, იაპონიისა და ფილიპინების 91-მა მოჭიდავემ.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დიდ ინტერესს იწვევდა მძიმე წონის მოჭიდავეთა შეხვედრა. ამ შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირიდან გამოდიოდა სახელმოხვეჭილი სპორტსმენი, იშვიათი ძალისა და მაღალი ტექნიკის მქონე ა. მეკოკიშვილი. პირველ ტურში, როგორც ვიუწყებოდით, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა ა. მეკოკიშვილმა სუფთა გამარჯვება მოიპოვა ფინელ სპორტსმენ კანგასნიემისთან, მეორე ტურში ქულებით მოუგო ოლიმპიური თამაშისა და მსოფლიო ჩემპიონს ანტონსონს (შვეიცია), მესამე ტურში დაამარცხა ირანის წარმომადგენელი ვაფადანი, ხოლო მეოთხე ტურში სუფთა გამარჯვება მოიპოვა უნგრელ მოჭიდავესთან ნოტნისთან.

ფინალში ა. მეკოკიშვილი შეხვდა მძიმე წონის უძლიერეს მოჭიდავეს, თურქეთის წარმომადგენელს ირფანს. ორთაბრძოლა თავდანვე საბჭოთა სპორტსმენის უპირატესობით წარიმართა. გაიმარჯვა ა. მეკოკიშვილმა. მან მოიპოვა მსოფლიოს 1954 წლის ჩემპიონის წოდება თავისუფალ ჭიდაობაში და ოქროს მედალი.

ქვემძიმე წონაში ჭიდაობის მაღალი ოსტატობა გამომჟღავნა სსრ კავშირის ჩემპიონმა ა. ენგლასმა, რომელმაც ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვა. მან დაამარცხა ათანი (თურქეთი), იაპონელი მოჭიდავე იტო და უნგრელი სპორტსმენი კოვაჩი. ფინალში ა. ენგლასს ბრძოლა მოუხდა ძლიერ მოწინააღმდეგესთან. ეს იყო შვეიციის მოჭიდავე, XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი პალმი. მძაფრ ასპარეზობაში მსაჯებმა ერთსულოვნად მიაკუთვნეს ქულებით გამარჯვება საბჭოთა სპორტსმენ ა. ენგლასს.

ა. ენგლასი გახდა მსოფლიოს 1954 წლის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ვ. ბალავაძე აღიარებულია თავისუფალი ჭიდაობის უძლიერეს ოსტატად. იგი მეტად მოქნილია და სარმის უბადლო ოსტატია. ვ. ბალავაძეს მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა მეტად პასუხსაგებ ამოცანას უყენებდა — დაეცვა საბჭოთა სპორტის ღირსება.

პირველი დღეებიდანვე იგი ქვეყანაშუალო წონის მოჭიდავეების ლიდერთა რიგებში ჩადგა — დაამარცხა თურქეთის წარმომადგენელი ბოკი, ახალზელანდიელი მონაგენი და სხვ. ფინალში ვ. ბალავაძე შეხვდა ირანელ ძლიერ მეტოქეს ფარდინს. საბჭოთა სპორტსმენმა ეს შეხვედრაც ჩინებულად ჩაატარა და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

ამრიგად, მსოფლიოს საბჭოთა ჩემპიონების რიგებს ვ. ბალავაძის სახით კიდევ ერთი ოქროს მედალოსანი შეემატა.

საბჭოთა სპორტსმენებმა მ. ცალქალამანიძემ (უმჩატესი წონა), ნ. მუზაშვილმა (ქვემსუბუქი წონა) და ს. გაბარაევმა (მსუბუქი წონა) მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

გუნდური პირველი ადგილი 36 ქულით მოიპოვეს თურქეთის მოჭიდავეებმა. მეორე ადგილი დაიკავა სსრ კავშირის გუნდმა, რომელიც პირველ ადგილზე გამოსულს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა. მესამე ადგილი დაიკავა ირანმა (22 ქულა), მეოთხე — იაპონიამ (19 ქულა), მეხუთე — შვეციამ, მეექვსე — უნგრეთმა. ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი მეშვიდე ადგილზე გამოვიდა.

**სურათზე:** (მარცხნიდან) მსოფლიო ჩემპიონები — ა. მეკოკიშვილი, ა. ენგლასი და ვ. ბალავაძე.

# უნგრეთის მშრომელთა პარტიის III ყრილობა

ბუდაპეშტი, 25 მაისი. (საკდესი). დღეს მუშაობას განაგრძობდა უნგრეთის მშრომელთა პარტიის III ყრილობა. დიღლის სხდომაზე დაიწყო კამთი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. მატიას რაკოშის მოხსენების გამო. პირველმა ილაპარაკა პარტიის ბუდაპეშტის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ლასლო ფარკაშმა, რომელმაც გააკრიტიკა დედაქალაქის მრეწველობის მუშაობის და პარტიის ორგანიზაციის მხრივ მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის ნაკლოვანებანი.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა არპად კიშმა ილაპარაკა იმაზე, რომ მსუბუქი მრეწველობის მუშაკებმა, რომელნიც ახორციელებენ პარტიის გადაწყვეტილებას, ზოგიერთი წარმატებანი მოიპოვეს ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებაში. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კვალიფიციური კადრების მომზადების საკითხს.

სხდომის დასასრულს ილაპარაკა უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა მიხალ ფარკაშმა.

# მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესია

## 24 მაისის საღამოს სხდომა

ბერლინი, 25 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). ჯ. ნ. პრიტს შემდეგ გუშინდელ საღამოს სხდომაზე გამოვიდა **იაპონიის მშვიდობის დაცვის კომიტეტის გენერალური მდივანი პროფესორი იოსიტარო ხირანო,** რომლის სიტყვაც დიდი ყურადღებით მოისმინეს. ემყარებოდა რა მნახველთა ჩვენებას და მეცნიერთა აზრებს, ბ. ხირანომ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დამღუთველი შედეგები ჰქონდა წყალბადის ბომბის აფეთქებას, რაც ამერიკელებმა ატოლ ბიკინის რაიონში მოახდინეს, იაპონელი მეთევზეებისათვის, რომლებიც აფეთქების მომენტში ღია ზღვაში იმყოფებოდნენ, და მარშალის კუნძულების მოსახლეობისათვის. ხირანომ აღნიშნა, რომ ამერიკელებმა წყალბადის ბომბი ააფეთქეს ღია ზღვების თავისუფლების საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპის დარღვევით. იაპონის მეთევზეები და იაპონელ მეზღვაურთა პროფკავშირი პროტესტს აცხადებენ შეერთებული შტატების მიერ საერთაშორისო სამართლის ამ დარღვევის წინააღმდეგ.

იაპონელი ხალხი, თქვა შემდეგ პროფესორმა ხირანომ, დარწმუნებულია, რომ მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ზეგავლენით ეს არაადამიანური იარაღი შეიძლება აიკრძალოს. საპირველმისო დემონსტრაციებმა, რომლებიც ომის დამთავრების შემდეგ ყველაზე მძლავრი დემონსტრაციები იყო, ცხადყო, რომ მთელი იაპონელი ერი მოითხოვს ამ იარაღის აკრძალვას. მარტო ტოკიოს დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო ნახევარმა მილიონმა კაცმა. ამჟამად ჩვენ დავიწყეთ ატომური იარაღის აკრძალვისათვის, მისი ყოველგვარი ექსპერიმენტის წინააღმდეგ ხელმოწერის შეგროვება. მოძრაობა თერმოგულის იარაღის აკრძალვისათვის მშვიდობის დაცვის მოძრაობის უბრალო ნაწილი კი არ არის, არამედ მთავარი ნაწილია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საზარბაზნე ხორცის მომზადების წინააღმდეგ, უცხოთის სამხედრო ბაზების წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლასთან. ხირანომ განაცხადა, რომ მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვა უკანასკნელ დროს მოითხოვეს იაპონიის პარლამენტმა, იაპონიის სამეცნიერო საბჭომ, იაპონიის პროფკავშირებმა, იაპონიის წითელი ჯვრის საზოგადოებამ და სხვა ორგანიზაციებმა.

იაპონელი ხალხის მშვიდობისმოყვარე ძალების სახელით პროფესორმა ხირანომ წინადადება შეიტანა მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მიმართოს ხუთ დიდ სახელმწიფოს და სხვა ქვეყნებს მოწოდებით — იკრძალოს ატომური იარაღის დამზადება და ხმარება და შეიქმნას საერთაშორისო ორგანიზაცია ამ აკრძალვის განხორციელების საკონტროლოდ.

შემდეგ გამოსულმა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარემ **პროფესორმა ლეოპოლდ ინფელდმა** (პოლონეთი) ხაზგასმით აღნიშნა, რომ წყალბადისა და ატომური იარაღის აკრძალვის ლოზუნგს შეუძლია გააერთიანოს ყველა ადამიანი, ვინც მშვიდობას ესწრაფვის.

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის **გენერალ სამიბ სინგ სოჰეის** (ინდოეთი) გამოსვლის შემდეგ სიტყვა მიეცა ბელგიელ მეცნიერს **ბელგიის მშვიდობის დაცვის კავშირის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეს მაქს კოზინსს.** კოზინსი ლაპარაკობს, რომ თუ ბელგიის კონგოს ურანი არ ყოფილიყო, არ იქნებოდა არც ხიროსიმა, არც ნაგასაკი და რომ ატომთან დაკავშირებთ დიდი პასუხისმგებლობა აკისრია ბელგიას, როგორც ურანის მადნის მიმწოდებელს. ორატორმა აღნიშნა, რომ კონგოში მოპოვებული მთელი ურანი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მიზნებს ხმარდება.

ამჟამად, თქვა კოზინსმა, ურანის მსოფლიო მარაგი მნიშვნელოვანწილად ხმარდება სამხედრო მრეწველობას. საჭიროა იგი მოხმარდეს სამშვიდობო მიზნებს.

სხდომის ბოლოს წაიკითხეს **დოქტორ საიფუდინ კიტჩლუს** წერილი. დოქტორი კიტჩლუ ცუდი ჯანმრთელობის გამო ვერ ჩამოვიდა ბერლინს, რომ მონაწილეობა მიეღო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიაში.

კიტჩლუ თავის წერილში აღნიშნავს, რომ ჟენევის თათბირის მოწვევის თვით ფაქტი მშვიდობის ძალების დიდი გამარჯვებაა, რის შედეგადაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შესაძლებლობა მიეცა თავისი წვლილი შეეტანა თათბირის მუშაობაში, როგორც თანასწორუფლებიანმა მონაწილემ. კიტჩლუს მოჰყავს პრემიერ-მინისტრ ნერუს შემდეგი განცხადება, რომელიც მან 15 მაისს გააკეთა პარლამენტში, და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი გამოხატავს ინდოელი ხალხის შეხედულებებსა და აზრებს:

„გასულ რამდენიმე საუკუნეში აზიის უბედურება ის იყო, რომ იქ არსებობდა არა მარტო კოლონიური რეჟიმები, არამედ ის, რომ აზია ხშირად იყო საომარი მოქმედების ასპარეზი სხვებისათვის და სხვების მიერ გაჩაღებული საომარი მოქმედების ასპარეზი. ამიტომ ჩვენ გვსურს, რომ ომის ეს ბიზნესი აზიაში შეწყდეს და განსაკუთრებით იმათი ბიზნესი, ვინც აზიაში ომს ეწევა თავიანთი მიზნების მისაღწევად. ეს ჩვენი სურვილი უკანონო არ არის და, როგორც წინათ აღვნიშნე, მშვიდობა ჩვენთვის, აზიის ქვეყნებისათვის, რომლებმაც ცოტა ხნის წინათ მოიპოვეს თავისუფლება, არა მარტო კეთილი იმედია, არამედ საარსებო საჭიროებაა. აზიის ბედი გარკვეული აზრით მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ინდოჩინეთისა და კორეის ამბებზე“.

ინდოეთისათვის, ნათქვამია კიტჩლუს წერილში, ომის საფრთხე განსაკუთრებით ცხადი გახდა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და პაკისტანის სამხედრო შეთანხმებამ ეს საფრთხე მოუახლოვა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს. ჩვენ ამ შეთანხმებას განვიხილავთ როგორც აზიაში ამერიკის გეგმების ნაწილს, როგორც ნაბიჯს, რომელიც მიმართულია აზიის წინააღმდეგ, მთელი მსოფლიოს მშვიდობის წინააღმდეგ.

ინდოელ ხალხს არა სურს ომი და მტკიცედ ილაშქრებს ამერიკა-პაკისტანის სამხედრო პაქტის წინააღმდეგ.

კიტჩლუ აყალიბებს ინდოეთის მშვიდობის მომხრეთა მოთხოვნებს და წერს: უწინარეს ყოვლისა, ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მიეცეს კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ჩვენ სავსებით ვუჭერთ მხარს ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუს წინადადებას ინდოჩინეთის შესახებ, აგრეთვე პოზიციას, რომელიც ინდოეთის მთავრობამ დაიკავა, როცა აკრძალა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოეთის ჯარების გადაყვანა. ჩვენ წინადადებას ვიძლევით დაუყოვნებლივ მოეღოს ბოლო ომს ინდოჩინეთში და მოვითხოვთ ამ ქვეყნის ხალხისათვის სრული თავისუფლების უზრუნველყოფას, აგრეთვე გარანტიას უცხოეთის ინტერვენციის წინააღმდეგ.

ჩვენ მოვუწოდებთ განხორციელდეს სასწრაფო ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუშლიან კორეაში საომარი მოქმედების განახლებას, და უზრუნველყოფილ იქნას კორეიდან უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანა, რათა კორეელ ხალხს მიეცეს უფლება დამოუკიდებლად და თავისუფლად განსაზღვროს საკუთარი ბედი.

ჩვენ მოვუწოდებთ დიდ სახელმწიფოებს, რომელთა წარმომადგენლები შეკრებილი არიან ამჟამად ჟენევაში, უზრუნველყონ აზიის ხალხებისათვის თვითგამორკვევის უფლება და სრული დამოუკიდებლობა, როგორც აზიაში მშვიდობის დამყარების საფუძველი. ჩვენ ვილაშქრებთ ყოველგვარი მილიტარისტული მოქმედებისა და კაჟშირის წინააღმდეგ, რომელთა მიზანია წაართვან აზიის ქვეყნებს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ჩვენ მოვუწოდებთ მშვიდობის მსოფლიო სამხედ კიდევ უფრო მტკიცედ განაცხადოს პროტესტი კოლონიალიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ აფრიკასა და სხვა ქვეყნებში და დაგმოს ასეთი პოლიტიკა როგორც დანაშაულობა ადამიანობის წინააღმდეგ, როგორც საერთაშორისო დაძაბულობის წყარო.

აღნიშნავს რა ჩრდილოეთ ატლანტიკისა და წყნარი ოკეანის სამხედრო პაქტების აგრესიულ ხასიათს, კიტჩლუ წერს, რომ ხალხთა უშიშროების ნამდვილი სისტემის შექმნის ინტერესებისათვის ეს პაქტები ეგრეთწოდებული „კოლექტიური თავდაცვის“ შესახებ, უნდა შეიცვალოს **კოლექტიური მშვიდობის** პაქტებით.

ბოლოს ნა ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი პრინციპები ასეთია: ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთ პატივისცემა, ურთიერთთავდაუსხმელობის ვალდებულება, ურთიერთ ჩაურევლობა საშინაო საქმეებში, თანასწორი და ურთიერთ სარგებლობა, მშვიდობიანი თანაარსებობა. განა არ შეიძლება ეს პრინციპები მშვიდობის წესდება გახდეს? მე ძწამს, რომ ეს შესაძლებელია, მწამს, რომ ეს პრინციპები, რომლებიც ჯერ კიდევ უძველეს დროში წარმოიშვა ინდოეთსა და ჩინეთში, შეიძლება ქვეყნების ურთიერთობის საფუძველი გახდეს.

ამით დამთავრდა სხდომა.

# აღნ-ის სააგენტოს ცნობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამერიკელ ჯაშუშთა ჯგუფის დაპატიმრების შესახებ

ბერლინი, 23 მაისი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტო იუწყება:

უკანასკნელ დროს დასავლეთ ბერლინის პრესა და ამერიკის რადიო რიგი ავრცელებენ არასწორ ცნობებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში რკინიგზელთა დაპატიმრების შესახებ და განზრახ არაფერს ამბობენ ამ დაპატიმრების ნამდვილ მიზეზებზე.

სიცრუისა და ცილისწამების ამ კამპანიის მიზანია შეცდომაში შეიყვანოს დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის მცხოვრებლები, რომლებიც მხარს უჭერენ შეთანხმების მიღწევას გერმანიის ორივე ნაწილს შორის, და ჩამოაშორონ ისინი ამ დიდ მიზანს, რომელიც ყველა გერმანელის ინტერესებს შეესაბამება.

ცნობების თანახმად, რომლებიც ადნ-ის სააგენტომ მიიღო, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დააპატიმრეს რკინიგზის მთელი რიგი მოსაზმსახურეები. საქმე ეხება ამ პირებს, რომლებიც ამერიკის საიდუმლო სამსახურის დასავლეთ ბერლინის ორგანიზაციის დავალებით, რომელიც ლიმონენშტრასზე, 24-ა სახლშია, ეწევოდნენ ჯაშუშურ და დივერსიულ საქმიანობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რკინიგზებზე. ამ საიდუმლო სამსახურის თანამშრომლის მერტენსის (იგივე ზეიფერტი) დავალებით ისინი ასრულებდნენ ჯაშუშურ დავალებას — აგროვებდნენ ინფორმაციას ტრანსპორტის, ხიდების დაცვის, ცენტრალური სასეიმაფორო დანადგარების შესახებ და სხვ., რისთვისაც ეძლეოდათ გასამრჯელო.

გაჩხრეკის დროს ზოგიერთ დამნაშავეს აღმოაჩნდა ამერიკული წარმოშობის რადიომიმღებები და რადიოგადამცემები.

დაკითხვამ ცხადყო, რომ ამ აგენტებს დასავლეთ გერმანიაში შეასწავლეს რადიოპარატების ხმარება.

გამოძიებამ ცხადყო ამერიკის საიდუმლო სამსახურის ამ დაქირავებულ აგენტთა დანაშაულებრივი საქმიანობის მთელი საშიშროება. მათ მიერ მიწოდებული ჯაშუშური ცნობების საფუძველზე ამერიკის საიდუმლო სამსახურმა დაგეგმა მოწყობა საბოტაჟისა და დივერსიის აქტებისა, რომლებსაც უნდა დაერღვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სატრანსპორტო ქსელის მუშაობა.

აგენტთა ამ ჯგუფის თავის დროზე აღმოჩენისა და დაპატიმრების მეოხებით თავიდან იქნა აცილებული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტრანსპორტის ზარალი, რაც, უეჭველია, გამოიწვევდა ადამიანების დაღუპვას და საქონლის მოსპობას.

გამოძიება გრძელდება.

**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

27 მაისს
**პ. ლისიციანისა** და **ნ. დაუტოვის** მონაწილეობით
**პ. ჩაიკოვსკი — ევგენი ონეგინი**

28 მაისს
**კ. დანკევიჩი — ბოგდან ხმელნიცკი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**ფეხბურთი**

27 მაისს
სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ფეხბურთში „ა“ კლასი
**„სპარტაკი“ (მინსკი) — „დინამო“ (თბილისი)** (ძირითადი შემადგენლობა)
დასაწყისი 19—00 ს.
ბილეთების წინასწარი გაყიდვა იწარმოებს „დინამოს“ სტადიონის სალაროებში დილის 11 საათიდან.

**რუსთაველის აზოტ-სასუქების ქარხანას** მუდმივ სამუშაოდ ესაჭიროება: ქიმიურ აპარატურაზე მომუშავეები, კომპრესორთა, ტუმბოთა და ვენტილატორთა მემანქანეები და მათი თანაშემწეები, ლაბორანტები და ტექნიკოს-ანალიტიკოსები, ელექტრომონტიორები და მეკავშირეები, ოსტატები და ზეინკლები, მანქანა-დანადგართა და საკონტროლო-გაზომვ ხელსაწყოთა შემკეთებლები.

ქარხანა იღებს აგრეთვე მოწაფეებს, რომლებსაც არასრული საშუალო განათლება მაინც უნდა ჰქონდეთ.

ცნობებისათვის მიმართეთ ქ. რუსთავის აზოტ-სასუქების ქარხნის კადრების განყოფილებას.

**საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარო ინსტიტუტი** აცხადებს, რომ 1954-1955 სასწავლო წლისათვის სტუდენტები მიიღებიან ქართული და რუსული სექტორების შემდეგ ფაკულტეტებზე.

1. ზოოტექნიკურ ფაკულტეტზე (კვალიფიკაცია — სწავლული ზოოტექნიკოსი),
2. ვეტერინარულ ფაკულტეტზე (კვალიფიკაცია — ვეტერინარი ექიმი).

განცხადებები მიიღება 20 ივნისიდან 31 ივლისამდე. განცხადებას უნდა დაერთოს: სიმფიფის ატესტატი (საშუალო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა — დედანი), სამი ფოტოსურათი, ავტობიოგრაფია; პასპორტსა და ცნობას სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ წარმოადგენენ პირადად.

მისაღები გამოცდები იწყება 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე: ქართულ სექტორზე — ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), ფიზიკასა და ქიმიაში. რუსულ სექტორზე — რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), ფიზიკასა და ქიმიაში.

ინსტიტუტში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესის თანახმად. საერთო საცხოვრებელი მიეცემათ შესაძლებლობის მიხედვით.

განცხადებები და შეკითხვები გამოგზავნეთ შემდეგი მისამართით: თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 13, საქართველოს ზოოვეტინსტიტუტი, ტელეფონი № 3-67-83.

## ახალი წიგნი

**ა. გრებნოვი. „გაზეთის რედაქციის მუშაობის ორგანიზაცია“.** სახელმწიფო გამომცემლობა. თბილისი. 1954 წელი. ტირაჟი 10.000, გვ. 101. ფასი 1 მან.

წიგნში განხილულია შემდეგი საკითხები: გაზეთის რედაქციის მუშაობის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები, ადგილობრივი გაზეთის რედაქციის მუშაობის ორგანიზაცია, გაზეთის რედაქციის მუშაობის დაგეგმვა, გაზეთის რედაქციის მასობრივი მუშაობა.

## ჟურნალი «პიონერი» № 5

გამოვიდა და ხელისმომწერლებს დაურიგდა ჟურნალი „პიონერი“ № 5, მიძღვნილი რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი.

## ა. ე. ბენდელიანი — გეოლოგია-მინერალოგიის დოქტორი

ს. ვ. კიროვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს პოლიტექნ